საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი-კვირა, 4-7 თებერვალი. 2021 წ. №24-25 (9143-9144) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ყოვლად უხეირო ოპოზიციას ამ კაცის არც მოსვლამ დააყარა ხეირი და არც - წასვლამ!..

ჯერ კიდევ ძალიან ძველად თქმულა, მეფეს წინ ნუ დაუდგები და ვირს უკანო, მაგრამ როცა ვირია თვითონ მეფე, მაშინ იმის წინაც საშიშია დგომა და უკანაც. თან დაგკბენს, თან დაგტლინკავს!..

მეფე, ცხადია, არ არის, ოღონდ გამეფებისთვის ბრძოლაში რომ ვირის გაქირი აქვს არჩეული ქართულ ოპოზიციას, უდავოა. ერთხელ უკვე ჰქონდა „ვარდების რევოლუცია“ და რა სურნელსაც აფრქვევდა მთელი ცხრა წელიწადი, არც ეს არის საკამათო. ახლა, როგორც ვხედავთ, ფერი იცვალა და „გაქირის რევოლუციის“ გზას დაადგა, უფრო სწორად, პოლიტიკური გაქირის გზას. თუმცა ამ გაქირში ხშირად თავისი ახლო ნათესავივით, ანუ ჯორივით უცილობლობს და დანარჩენთანაც აიძულებს გაქირსა და ოჩნობას.

გამეფებისთვის ბრძოლაში ხერხთან ერთად ამირსპასალარიც შეიცვალა, ადრე თუ ტურა ჰყავდა მეთაურად, ახლა მელია დაიყენა, რომელიც „ოცნებას“ ისე უცქერის, როგორც საკვერცხედ მოქცეულ დედალს, მაგრამ, ნამდვილ მელიად დაბადებული მელიებისაგან განსხვავებით, საქათმეში არც თვითონ შედის და არც სხვა მელიებს უშვებს. მანდ მაშინ შევალთ, როცა მთლიანად ჩვენი იქნებაო, შესვლა-გამოსვლა რა საკადრისიაო.

ერთი სიტყვით, ალეგორია იქით იყოს, და ქვეყანაში რა ხელოვნური პოლიტიკური კრიზისიც შექმნა გაერთიანებული ოპოზიციის ფარად გამომყენებელმა ნაციონალურმა მოძრაობამ, დღეს ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქისთვის აშკარაა. ისიც აშკარაა, რომ ეგრეთ წოდებულმა ოპოზიციამ ვერა და ვერ ისწავლა ოპოზიციონერობა. თავისი ფრიად მნიშვნელოვანი დანიშნულება, რაც მმართველი ძალის მუშაობის მიმართ კონსტრუქციულ დამოკიდებულებაში გამოიხატება, ანუ რაც იმ სახელმწიფოებრივად გამიზნულ კრიტიკას გულისხმობს, საფუძვლად რომ უნდა დაედოს ხელისუფლების შემდგომ მუშაობას. ეგრეთ წოდებული ჩვენი ოპოზიცია რა გზას ადგას, როგორ ესმის თავისი დანიშნულება? როგორ და უკულმა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, უკულმართად. კრიტიკა ავად კრიჭაში დგომა, ლანძღვა-გინება და ცილისწამება, ძვას თავი დავანებოთ, ტალახის სროლა და წუმპის შესხმა, გამუდმებულად იმის ძახილი ჰგონია, ჭაობში ვცხოვრობთ, სახელმწიფო ჩამოიშალაო. ხოლო თუ მთელი ამ უბდურების ფაქტობრივ მტკიცებულებას მოსთხოვ, იწილო-ბიწილო დაიწყება და დამატებით ახალი ცილისწამება ჩნდება, ხელისუფლება პანდემიასაც კი კორუფციისთვის იყენებსო.

მოკლედ, იმის მაგივრად, რომ თავისი მოქმედებით ქვეყნის განვითარებას უწყობდეს ხელს, არსებულ ხელისუფლებასთან ერთად საქმიანად თანაარსებობდეს და ხალხის თვალში იმდენად აიმაღლოს პოლიტიკური წონა, რომ დემოკრატიული არჩევნების გზით მოვიდეს ხელისუფლებაში, სრულიად პირაქით იქცევა, აშკარად სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებს, ერთი სული აქვს ხელისუფლებაში მოსასვლელად, ამ გზაზე კი არცრა სიბინძურეს არ ერიდება, ამის სავალალო შედეგია ის 5 პროცენტი, რაც ნაციონალურ მოძრაობას ენდიის ბოლო კვლევამ დაუწერა. ასეთივე სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო ეს ვაიმოძრაობა ჯერ კიდევ 2012 წელს პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის შემოსვლამ, რომელმაც, როგორც მიუკერძოებელი ექსპერტები ამბობენ, თითქმის პოლიტიკური სიკვდილის პირას მიიყვანა ყოველგვარ ადამიანურ ზღვარს გადასული ნაციონალები. ახლა პოლიტიკიდან წასვლით კი ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთ-ერთი მთავარი საყრდენი გამოაცალა უკვე გზააბნეულ ოპოზიციას – ოლიგარქიულ მმართველობაზე გაუთავებელი ლაქლაქის მიზეზი მოუსპო.

> **ერთი სიტყვით, ამ ჭეშმარიტი მამულიშვილის არც მოსვლამ დააყარა ხეირი ყოვლად უხეირო ოპოზიციას და არც – წასვლამ, რომელ ოპოზიციასაც, თავისი ამომრჩევლის მიმართ ზურგშექცეულს, მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ უკვე ხმაჩახლეჩილმა იძახოს, საქართველოს ერთპარტიული, ჩრდილოეთკორეული პარლამენტი ჰყავსო... ეს მაშინ, როცა „ოცნებამ“ ისევ ღია დატოვა პარლამენტის კარი იმ მანდატიანი ოპოზიციონერთათვის, ვინც, ნაციონალთა მხრიდან აუტანელ ზემოქმედებისდა მიუხედავად, მაინც სახელმწიფოებრივად აზროვნებს, მაინც წინ იყურება და მართლა ქვეყანასა და ხალხზე ფიქრობს...**

⑥ ⑦

საქართველოს მეცნიერება მეცნიერებათა აკადემიის 80 წლისთავზე

ვახტანგ დავითაია:
ხიშტი კარგია ძალაუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ძალიან ცუდია დასაჯდომად... ③

გელა ქოქიაშვილი:
ალეკო ხომერიკი - ფენომენალური ხმის მომღერალი ⑧



როსტომ ჩხეიძე:
გევეინის რომანი - ახალ საფეხურად ქანრისა ⑨

„ყინწვისის საქმის“ პოლიტპატიმრების რეაბილიტაცია ⑪

ფიროსმანის „კახური ღვინო“ კანონიერ მესაკუთრეს დაუბრუნდება

ინდოეთი საქართველოში საელჩოს ხსნის!



საქართველოში ინდოეთის საელჩოს გახსნისა და ორ ქვეყანას შორის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმებაზე ინტენსიური მოლაპარაკებების წარმოების საკითხი განიხილეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ და ინდოეთის რესპუბლიკის ელჩმა კაშან დენ დიუალმა შეხვედრაზე, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

აღინიშნა, რომ მისასალმებელია ინდოეთის რესპუბლიკის გადაწყვეტილება საქართველოში საელჩოს გახსნის შესახებ, რამდენადაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები უფრო და უფრო ვითარდება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმება. ინდოეთის ელჩმა დაადასტურა ინდოეთის რესპუბლიკის მზადყოფნა, მოლაპარაკებები თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმების შესახებ უფრო ინტენსიური გახდეს. უკვე დასრულებულია შესაბამისი მიზანშეწონილობის კვლევა და ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებების პირველი რაუნდი, რომელსაც ხელი პანდემიამ შეუშალა, უახლოეს მომავალში შედგება.

ბრიტანეთის ელჩი მარკ კლეიტონი განათლების მინისტრს მიხეილ ჩხენკელს შეხვდა



ბრიტანეთის ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე წერს, რომ **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან მიხეილ ჩხენკელთან საინტერესო შეხვედრა ჰქონდა.**

გაერთიანებული სამეფო მოხარულია, მხარი დაუჭიროს სამინისტროს მნიშვნელოვან პროგრამებს. იქნება ეს ბრიტანეთის საბჭოს მეშვეობით ინგლისური ენის მასწავლებლებთან მუშაობა, პროფესიული განათლება, თუ კულტურის მიმართულებით ურთიერთობების გაღრმავება, დიდი ბრიტანეთი საქართველოს პარტნიორია“, — აღნიშნავს ელჩი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა ბრიტანეთის ელჩს საქართველოში მარკ კლეიტონს სამინისტროში 2 თებერვალს უმასპინძლა და მასთან განათლების სისტემაში მიმდინარე პროექტები და თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობები განიხილა. მიხეილ ჩხენკელმა ელჩს მადლობა გადაუხადა განათლების სფეროში განხორციელებული არაერთი მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი პროექტისთვის და აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის განათლებისა და კულტურის სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას ხელს განსაკუთრებულად უწყობს ბრიტანეთის საბჭო საქართველოში (British Council). შეხვედრაზე მხარეებმა ერთმანეთს თავიანთი ქვეყნების გამოცდილება გაუზიარეს Covid-19-ის პანდემიის პირობებში განათლების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის ელჩს შეხვდა

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილმა აზერბაიჯანელ დიპლომატს ელჩად დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა.

„შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ მეგობრულ და სტრატეგიულ ურთიერთობაზე. მხარეებმა განიხილეს თავდაცვის სამინისტროებს შორის არსებული თანამშრომლობის პოზიტიური დინამიკა. საუბარი ასევე შეეხო თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დოკუმენტის გაფორმების საკითხსა და სამხედრო განათლების სფეროში ურთიერთობების მნიშვნელობას. შეხვედრის დასასრულს თავდაცვის მინისტრმა აზერბაიჯანელი კოლეგის თბილისში მასპინძლობის იმედი გამოთქვა“, — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

ზაზა შათირიშვილი: პოლიტიკაში შემოსვლით ბიძინა ივანიშვილმა ოპოზიცია დაამარცხა, წასვლით კი მოსპო!

ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლით, ოპოზიცია დაამარცხა, წასვლით კი — მოსპო, ამით მან ოპოზიციას მოუსპო ის ერთადერთი დასაყრდენი, რაზეც ის პარაზიტირებდა, — ამის შესახებ ფილოსოფოსმა ზაზა შათირიშვილმა განაცხადა.

მისივე განცხადებით, უკვე დიდი ხანია, გლობალური მასშტაბით, პოლიტიკის დეინტელექტუალიზაცია მოხდა.

„სამწუხაროდ, ისეთი ტიპის ინტელექტუალური ფიგურები, როგორიც იყვნენ ვალერი ჟისკარ-დ'ესტენი, ფრანსუა მიტერანი ან მსგავსი ფიგურები, უკვე აღარ არსებობენ. სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძესაც ამავე რანგის ფიგურად მივიჩნევ. დიდი ხანია, მოხდა პოლიტიკის მითოლოგიზაცია. ამ თვალსაზრისით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლით, ოპოზიციას გამოეცალა მთავარი მითოლოგიური ფიგურა. ოპოზიცია სრულ სიცარიელეში აღმოჩნდა. თუ ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლით, ოპოზიცია დაამარცხა, წასვლით — ოპოზიცია მოსპო. ამით მან ოპოზიციას მოუსპო ის ერთადერთი დასაყრდენი, რაზეც ის პარაზიტირებდა. ზოგადად, მსოფლიოში პოსტრევოლუციური პერიოდი დადგა — როცა აღარ არსებობს მომავლის სურათი. რევოლუცია ხდება არა მაშინ, როცა ცუდი მდგომარეობაა, არამედ მაშინ, როცა არსებობს მომავლის სურათი. დღეს, არა მხოლოდ საქართველოში, აწმყო და მომავალი, ფაქტობრივად, ერთმანეთს შეერწყა. აქედან გამომდინარე, რევოლუცია უბრალოდ, შეუძლებელია. გლობალური მასშტაბით, ჩვენ დემოკრატიის მესამე ფაზაში გადავედით. ეს საქართველოსაც ეხება. ესაა იმიტაციური დემოკრატია, როდესაც ოპოზიცია აუცილებელია — როგორც თამასის წესი“, — განაცხადა ზაზა შათირიშვილმა.

გიორგი ვაშაძე ხომ არის „ლომი“ და „ვეფხვი“, დაწეროს ლომებრ პუნქტები...

წესით, გიორგი ვაშაძე უნდა ერკვეოდეს რაღაცებში. რასაც ხელი მოვაწერეთ, კანონი და კონსტიტუცია კი არ იყო, ღია ტექსტი, მემორანდუმია, რომელიც შეიძლება შეიცვალოს, — ასე გამოეხმაურა „მოქალაქეების“ ლიდერი ალეკო ელისაშვილი „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის გიორგი ვაშაძის განცხადებას.

მისივე თქმით, ვაშაძეს შეუძლია, უკეთეს დოკუმენტზე იმუშაოს მმართველ გუნდთან.

„ჩვენ იმ ტექსტზე ვემუშავეთ „ქართულ ოცნებას“ და თუ გიორგი ვაშაძეს არ მოსწონს, კეთილი ინებოს და ხელისუფლებას ემუშაოს, უკეთესი პუნქტები ჩააწერინოს. ეს არის ღია დოკუმენტი, კონსტიტუცია კი არ არის, რომელიც მივიღეთ და არ შეიცვლება. ასეთი განცხადებები სასაცილოა და სევდიანი საყურებელია. თუ ჩვენზე მაგარია, ადგეს და უფრო მაგარი ტექსტი დააწერინოს, რომ გმინავს და ამბობს, არ ვარგაო. ხომ მაგარია? ჩვენ მაგრები არ ვართ, ვერ შევძელით, თვითონ ხომ არის ლომი და ვეფხვი? დაწეროს, ლომებრ პუნქტები“, — განაცხადა ელისაშვილმა.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ ბარიერის დაწევა არ არის საკითხი, რისი დაკმაყოფილების შემთხვევაშიც ოპოზიციის წარმომადგენლები ბოიკოტს შეწყვეტენ.

კელი დეგნანი: ხელისუფლების გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ მათ მოლაპარაკებებისთვის სივრცე დატოვეს

საქართველოში ამერიკის ელჩის, ქალბატონ კელი დეგნანის თქმით, ხელისუფლების ბოლო გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ მათ დატოვეს სივრცე მოლაპარაკებებისთვის. ამერიკის ელჩი მოლაპარაკებებისთვის თვითონაც მზადყოფნას გამოთქვამს.

„სწრაფად უნდა მოხდეს ამ პრობლემის გადაჭრა, რადგან მნიშვნელოვანია. ყველა პარტიის ლიდერს უნდა სიტუაცია განიმუხტოს და ყველაზე მთავარი გამოწვევაა მთელი ქვეყნისთვის. ხელისუფლების გუშინდელი გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ მათ დატოვეს სივრცე მოლაპარაკებებისთვის.

ღია ვართ ჩვენ იმისთვის, რომ თუ ვინმეს სურვილი აქვს დაგველაპარაკოს. ველოდებით, კოლაბორაცია გაგრძელდეს, როგორც მთავრობასთან, ასევე მედიასთან და ყველასთან მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის“, — განაცხადა კელი დეგნანმა.

კარლ ჰარცელი: ოპოზიციისთვის მანდატების შენარჩუნება პარლამენტის მხრიდან სწორი ნაბიჯი იყო

საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი აცხადებს, რომ ოპოზიციისთვის მანდატების შენარჩუნება პარლამენტის მხრიდან სწორი ნაბიჯი იყო. მისივე თქმით, პარლამენტის გუშინდელი გადაწყვეტილება დიალოგის გაგრძელების წინაპირობაა.

„გუშინდელი გადაწყვეტილება აუცილებლად არ გულისხმობს შეთანხმების მისაღწევად შანსების გაზრდას. ჯერ კიდევ ველოდებით ამ ჯადოსნურ სივრცეს, სადაც ყველა მხარე შეთანხმებას შეძლებს. როგორც ვიცით, ოპოზიციის უმრავლესობა გუშინდელი გადაწყვეტილების მიუხედავად ბოიკოტს ინარჩუნებს. გულწრფელი ვიქნები და გეტყვით, რომ ჯერ კიდევ ვაწყდებით სირთულეებს, სადაც არც ერთი მხარე არ დგამს კონკრეტულ ნაბიჯს, რაც დამარწმუნებდა, რომ შეგვიძლია შეთანხმების მიღწევა, რაზეც ჩვენ, როგორც ფასილიტატორები ვმუშაობთ. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია მრავალკვირიანი ჩიხში შესული პოზიციების შემდეგ, ასევე ჩვენც დავფიქრდეთ, რამდენად სასარგებლო იქნება სამომავლოდ დიალოგის ფორმატი“, — განაცხადა ჰარცელმა.

მოლაპარაკებების კარი ღია უნდა დარჩეს

გიორგი ვოლსკიმ დიპლომატების განცხადებები შეაფასა, რომლებიც მმართველ გუნდსა და ოპოზიციას კონსენსუსის მიღწევისკენ კვლავ მოუწოდებენ.

„არ მინდა, ვიყო პესიმისტური განცხადებების ავტორი ამ თემასთან დაკავშირებით. იმდენად დიდია საზოგადოების დაინტერესება იმით, რომ დესტაბილიზაციას არ ჰქონდეს ადგილი და კამათი პარლამენტის ფორმატში გრძელდებოდეს, იმდენად დიდია სტრატეგიული ინტერესი ჩვენი პოლიტიკური პარტნიორების, რომ მე ვფიქრობ, რომ მოლაპარაკებას კვლავ უნდა დავუტოვოთ კარი ღია“, — განაცხადა ვოლსკიმ.



EBRD მზადაა შავი ზღვის როლის გაძლიერების თვალსაზრისით საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავებისთვის!

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა EBRD-ის ახალარჩეულ პრეზიდენტთან ოდილ ღენობასოსთან ონლაინფორმატში შეხვედრა გამართა. საქართველოს პრეზიდენტმა EBRD-ის პრეზიდენტს თანამდებობაზე არჩევა მიულოცა და ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა.

მხარეებმა პოსტპანდემიურ პერიოდში, საქართველოსა და მსოფლიოში ეკონომიკის მიმართულებით შემნილ მდგომარეობაზე ისაუბრეს.

EBRD-ის პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ხელისუფლების მიერ პანდემიასთან ბრძოლის მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებებს.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, პანდემიის შედეგად, მსოფლიო ეკონიმიკური რყევების გამო, მნიშვნელოვანია საქართველოში კარგად განვავითაროთ მისი ეკონომიკის საყრდენი ძალა — მცირე და საშუალო ბიზნესი. ამ კუთხით პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა EBRD-ის როლი და მისი დახმარება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროცესში. საქართველოს პრეზიდენტმა ბრიუსელის ვიზიტის შედეგების განხილვისას ხაზი გაუსვა შავი ზღვის რეგიონის როლს და აღნიშნა, რომ შარშანდელმა კონფლიქტმა და მისმა შედეგებმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ჩვენი რეგიონის მნიშვნელობას. პრეზიდენტის აზრით, საჭიროა მეზობლებთან ერთად და EBRD-ის ჩართულობით კიდევ უფრო მეტი საერთო ეკონომიკური პროექტის განხორციელება და მიმდინარე პროექტების განვითარება.

EBRD-ის პრეზიდენტმა შავი ზღვის როლის გაძლიერების კუთხით საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავების მზაობა გამოხატა და ასევე აღნიშნა, რომ EBRD მზადაა, მხარი დაუჭიროს საქართველოს მწვანე ენერგიისა და ენერგოეფექტურობის რეფორმების დანერგვაში.

საქართველოს პრეზიდენტმა EBRD-ის ახალარჩეული პრეზიდენტი საქართველოში ვიზიტით მოიწვია და ვიზიტის ფარგლებში, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დათვალიერება შესთავაზა.

აგროქულების გამოყენებას ფერმერები 20 მაისამდე შეძლებენ

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აგრობარათებზე დარიცხული ქულების გამოყენების ბოლო ვადა 2021 წლის 20 მაისია. ამის შესახებ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, 1 ჰექტარ მიწაზე სუბსიდიის ოდენობა 200 ლარს (აგრობარათზე დარიცხულ 200 ქულას) შეადგენს. აგრობარათზე დარიცხული ქულებით შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო საქონლის შეძენა სპეციალიზებულ მაღაზიებში.

„მიმდინარე წლის 20 თებერვალს დასრულდება პროგრამის ბენეფიციარებისთვის აგროქულების დარიცხვა. იმ ბენეფიციარებს, რომელთაც ჯერ არ აუღიათ აგრობარათი, ასევე მათ, ვინც მიწის ნაკვეთის პირველადი რეგისტრაცია ან დაზუსტება 2020 წლის 31 დეკემბრამდე მოახდინეს, ბარათების მიღებას მიმდინარე წლის 20 თებერვლამდე შეძლებენ. აგრობარათის მისაღებად, ლიბერთი ბანკის ფილიალში ვიზიტამდე, დარიცხული ქულების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებპორტალზე. სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების სახელმწიფო პროგრამაში უკვე 246,000 ფერმერია ჩართული, დარიცხული სუბსიდიის ოდენობა 32 მლნ ლარს აჭარბებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

მიუხედავად პანდემიისა, თბილისის გამშვენიერება გრძელდება!

თბილისის მერიაში დედაქალაქის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე საგულისყურო განცხადება გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, ვაკის პარკის სრულმასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო მიმდინარე კვირიდან ვაკის პარკი სრულად დაიკეტება. რეაბილიტაციის პროცესში ვაკის პარკს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსისთვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი შეუნარჩუნდება.

„დაწყებულია ვაკის პარკის სრულმასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია რეკრეაციული სივრცეების განახლება, მოწესრიგება. ამ მიმართულებით, ბევრი კონკრეტული ნაბიჯი გადაიდგა და მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. ეს არის სივრცე, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს და მის განახლებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მივიღეთ. ის მნიშვნელოვანი ელემენტები, რომელიც ამ პარკს გააჩნია, თავისი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსიდან გამომდინარე, ყველაფერი შენარჩუნდება და მოწესრიგდება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ვაკის პარკის რეაბილიტაციის დაგეგმვამდე, თბილისის მერიამ პროცესში ადგილობრივი მოსახლეობა ჩართო და მათი წინადადებებიც გაითვალისწინა. მთავრობის გუშინდელ სხდომაზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წლიდან სოციალურად დაუცველი, წარმატებული სტუდენტების მეტი რაოდენობა დაფინანსდება. დაფინანსება გაიცემა თბილისში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ სტუდენტებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), რომლებსაც სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში 150 000 და ნაკლები ქულა აქვთ.

ახალგაზრდების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. მათი ცოდნა, განათლება და შესაძლებლობები ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული. 2015 წლიდან და აქამდე, ფინანსდებოდნენ ის სტუდენტები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში 70 000 ქულა ან ნაკლები იყო. ჩვენი ინიციატივის შედეგად, დამატებით, 1 000-მდე სოციალურად დაუცველ სტუდენტს ექნება საშუალება, თბილისის მერიისგან მიიღოს სწავლის დაფინანსება, რომლის მაქსიმალური ოდენობა წლიურად 2 250 ლარია, ხოლო სემესტრულად — 1 125 ლარი. ამ თანხის რამდენ პროცენტს მიიღებს სტუდენტი, დამოკიდებული იქნება, როგორც მის აკადემიურ მოსწრებაზე, კერძოდ, სემესტრულ ქულაზე, ისე სოციალურად დაუცველთა ბაზაში არსებულ სარეიტინგო ქულაზე.

დედაქალაქის მერის თქმით, პროგრამაში ცვლილებების შედეგად, ასევე, ორმაგდება იმ მაგისტრანტების რაოდენობა, რომლებიც სემესტრულ ფინანსურ წახალისებას მიიღებენ.

„ამჟამად, ფინანსდება 300 მაგისტრანტი. ცვლილების შემდეგ, 600-ზე მეტი მაგისტრანტი დაფინანსდება. იმ სტუდენტებს, ვისაც 100%-ით დაფინანსებული აქვს სწავლა, ფინანსური წახალისება პირად ანგარიშებზე ჩაერიცხებათ. აგრეთვე, პროგრამაში შემავალი უნივერსიტეტების ჩამონათვალს დაემატება კიდევ ერთი უმაღლესი სასწავლებელი — ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და მისი მაგისტრატურის საფეხური“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, ამიერიდან, სტუდენტის ფინანსური წახალისება სწავლის საფასურის დაფარვის მიზნით ჩარიცხვის შემთხვევაში, არ დაიბეგრება. გარდა ამისა, კახა კალაძემ დედაქალაქში დაგეგმილ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა. მისი თქმით, მიმდინარე წელს მანჯგალაძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია, ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაცია, ამირეჯიბისა და ყიფშიძის ქუჩების დამაკავშირებელი გზის მოწყობა, ასევე, ბაგებისა და უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა იგეგმება.

„პანდემიის გამო, ბევრი პროექტის გადადება და პრიორიტეტების გადახედვა მოგვიწია. 2021 წელს გარკვეულწილად, გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ პროექტების ნაწილის განხორციელება დავიწყოთ. ნაძალადევის რაიონში, მანჯგალაძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია ჩატარდება, რომელიც კატასტროფულ მდგომარეობაშია. განსაკუთრებით, მიწისქვეშა კომუნიკაციები. სამუშაოების ფარგლებში, კაპიტალურად განახლდება საგზაო ინფრასტრუქტურა, მოეწყობა გარე განათების ქსელი და ჩატარდება გამწვანების სამუშაოები“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

მისი თქმით, მიმდინარე წელს ისნის რაიონში, ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაციაც იგეგმება. სამუშაოების შესრულებაზე ტენდერი უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

დედაქალაქში მიმდინარე წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტის განხორციელება იგეგმება. ეს არის ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილისა და ნინო ყიფშიძის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა.

„როგორც კი პროექტი მზად იქნება, მაშინვე გამოვაცხადებთ ტენდერს სამუშაოებზე. პროექტის დასრულების შემდეგ, ყიფშიძის ქუჩიდან ჭავჭავაძის გამზირზე გასვლა აღარ დაგვჭირდება და ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე გასვლა პირდაპირ იქნება შესაძლებელი.

მიმდინარე წელს დაიწყება უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა.

„მნიშვნელოვანი პროექტია ქალაქისთვის, რადგან ამ კონკრეტული გზით ძალიან ბევრი ადამიანი სარგებლობს. ბაგები ყოველთვის დატვირთულია და გვინდა, ამ პროექტის საშუალებით, მოძრაობა განიტვირთოს. სამუშაოების დასრულების შემდეგ, ბაგებიდან საბურთალოზე მოხვედრა ვაკეში შემოსვლის გარეშე იქნება შესაძლებელი“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა ხაზგასმით თქვა, რომ ის მძღოლები, რომლებიც ავტომობილებს ველობილიკებზე, საავტობუსე ზოლებსა და ზებრა გადასასვლელებზე გააჩერებენ, დაჯარიმდებიან.

როგორც იცით, ჩვენ ამ რთულ ვითარებაში, როდესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი გაჩერებულია, რაც ძალიან დიდი პრობლემას წარმოადგენ, დავუშვით შესაძლებლობა, რომ ავტომობილებს ჰქონდეთ საშუალება, საავტობუსე ზოლებში იმოძრაონ. ასევე, გავაფრთხილეთ „თბილისის პარკინგის“ თანამშრომლები, რომ მაქსიმალურად თავი შევიკავოთ ამ რთულ ვითარებაში მძღოლების დაჯარიმებისგან, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ქალაქში ქაოსი და განუკითხაობა იყოს. ეს დამოკიდებულება კატეგორულად მიუღებელია. გვაქვს ძალიან ბევრი ფოტომასალა, თუ რა ხდება ქალაქში ამ მიმართულებით. ტროტუარებსა და ზებრა გადასასვლელებზე ავტომობილების გაჩერება, ე.წ. ბასლეინებზე დაპარკინგება და ავტომობილების დატოვება. ვფიქრობ, არავის სიამოვნებს...

თბილისის მერმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელის პოზიციაზე კახაბერ გულედანის კანდიდატურა წარადგინა. მისი თქმით, კახაბერ გულედანი რამდენიმე წლის წინ სამგორის რაიონის გამგებლის პოზიციას იკავებდა და გამოცდილი კადრია.

„კახაბერ გულედანი სულ რამდენიმე წლის წინ სამგორის რაიონის გამგებლის პოზიციას იკავებდა. შემდეგ, კერძო სექტორში გადავიდა. იქამდე იყო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა მთავრობის ადმინისტრაციაში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, საქართველოს მეტროლოგიის ცენტრში, საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში და ა.შ. მას აქვს ზოგადად, მართვის კარგი გამოცდილება და დარწმუნებული ვარ, ამ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო თანამდებობას ღირსეულად გაართმევს თავს, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ქალაქში იყოს წესრიგი. მინდა, წარმატება ვუსურვო მას“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძემ ქალაქში რეკრეაციული სივრცეების მოწყობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონში, დაახლოებით, 7 300 კვ.მ-ზე ახალი სკვერი გაშენდა. თბილისის მერმა პროექტის განხორციელებისთვის სამგორის რაიონის გამგებელსა და გამგეობის თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადაუხადა.

კახა კალაძის განცხადებით, დედაქალაქის მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქალაქში მწვანე სივრცეების შექმნაა, რაც 2021 წელსაც გაგრძელდება.

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚ ᲠᲘᲗᲛᲡ?!



ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ აიცრება მოსახლეობის 60-70% და ჩამოყალიბდება საზოგადოებრივი იმუნიტეტი, მაშინ შესაძლებელია იყოს საუბარი, რომ ჩვენ ვუბრუნდებით ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს, — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ გუშინ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ განაცხადა.

„მაგრამ პირბადის ხმარება და შესაბამისად სხვა შეზღუდვების მოხსნა, რასაც ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს ვუწოდებთ, ამას ერთი წელი ან წელიწად-ნახევარი დასჭირდება. მხოლოდ საქართველოს კი არა, მთელ მსოფლიოს, რომ დაამარცხოს პანდემია და დაუბრუნდეს ცხოვრების ჩვეულ რიტმს“, — განაცხადა გამყრელიძემ.

პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას თქმით, საქართველო იქნება ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც Pfizer-ის ვაქცინას მიიღებს.

ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲩᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ, ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲒᲖᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲘᲡ

ᲑᲝᲚᲝ 2 ᲙᲕᲘᲠᲐᲐ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲙᲚᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲐᲠᲘᲡ, — ამის შესახებ ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის თქმით, თუ ბოლო თვეებში ეს მაჩვენებელი 800 ათასს აჭარბებდა, ბოლო პერიოდში ყოველდღიურად ინფიცირების 400-500 ათასი შემთხვევა აღირიცხება. მან ასევე ვაქცინაციის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. **„101 მილიონი ადამიანია უკვე აცრილი და ამ 101 მილიონი აცრიდან არც ერთი სიკვდილი არ არის, როდესაც 104 მილიონი ინფიცირებულიდან 2, 260 000 სამწუხაროდ გარდაიცვალა. 2,1-2,2 არის გარდაცვალების პროცენტი. აქედან, მთავარი გზავნილი, რომ თუ გვინდა დავამარცხოთ და შევაჩეროთ პანდემია, ერთადერთი გზა გადის მოსახლეობის მასობრივ ვაქცინაციაზე“.**

ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ!

ᲘᲜᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ **რისკი რესტორანში შეფასებულია გლობალურად და ცნობილია, რომ მაღალია,** — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიამ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ მედიასთან განაცხადა. მისი თქმით, რესტორანში ადამიანი ვერ იკეთებს პირბადეს, რაც ვირუსისგან დაცვის მთავარი საშუალებაა. რაც შეეხება რესტორნების გახსნას, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ ბიზნესი თანმიმდევრულად უნდა გაიხსნას.

„პირველ რიგში გახსნა შეეხება იმ მაქსიმალურად აუცილებელ ბაზისურ სერვისს, რომელიც საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პირველ ეტაპზეა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, შემდეგ ამას მოჰყვება სკოლა... ესაა ლოგიკური თანმიმდერობა, რაც რისკების მიუხედავად, ეტაპობრივად უნდა გადავანაწილოთ და ასეცაა დაგეგმილი“, — აღნიშნა გაბუნიამ.

ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘ 2 ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲡ ᲓᲐᲣᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ

ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘ, რომლებშიც მოსწავლეები სწავლობენ, ორკვირიან იზოლაციაში გადაიყვანეს. ისინი სასწავლო პროგრამას ონლაინ რეჟიმში გაივლიან.

თელავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის მაია ჯღუთაშვილის განმრატებით, ამ სიტუაციის გათვალისწინებით, თელავში სკოლების დროებით დაკეტვის აუცილებლობა არ დგას. **„თელავში, ორ სკოლაში, 2 შემთხვევა აღირიცხა. ეს კლასები თვითიზოლაციაში არიან გადასულები. სკოლების დაკეტვა არ არის აუცილებელი და არც პედაგოგების იზოლაცია, რადგან მასწავლებელი წესებს იცავს, ატარებს პირბადეს და დისტანციაც დაცულია“...**

ᲨᲝᲠᲡ „ᲐᲡᲢᲠᲐᲖᲔᲜᲔᲙᲐᲡ“ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ!!!

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ „ᲐᲡᲢᲠᲐᲖᲔᲜᲔᲙᲐᲡ“ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲡ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ, — შესაბამისი ინფორმაცია მას შემდეგ გაჟღერდა, რაც მსგავსი შინაარსის რეკომენდაცია გერმანიის ხელისუფლებამ გასულ კვირას გასცა. მათი რეკომენდაციის მიხედვით, 65 ან მეტი წლის ადამიანებში ვაქცინა არ უნდა იქნეს გამოყენებული. ამის მიზეზი იმ მონაცემების სიმცირეა, რომელიც ვაქცინის ეფექტურობას ხანდაზმულებში დაადასტურებს.

ამასთან, ევროპის მედიკამენტების სააგენტომ 27 ქვეყანაში ვაქცინის გამოყენება ყველა ასაკის ადამიანისთვის დაამტკიცა, რაც ნიშნავს, რომ პოლონეთმა შესაძლოა, ეს გადაწყვეტილება დაარღვიოს. იტალიის წამლების სააგენტომ „ასტრაზენეკას“ ვაქცინა ყველა ადამიანისთვის დაამტკიცა, თუმცა 55 წელს ზემოთ ადამიანებისთვის ალტერნატიული ვაქცინის გამოყენების რეკომენდაცია გასცა. საფრანგეთი, სავარაუდოდ, ევროკავშირის წევრი შემდეგი ქვეყანა გახდება, რომელიც ვაქცინასთან დაკავშირებულ საკუთარ რეკომენდაციას გასცემს.

„ასტრაზენეკას“ და „ოქსფორდის“ უნივერსიტეტის მკვლევრებმა გამჭვირვალედ განაცხადეს, რომ ათ პროცენტზე ნაკლები იყო კვლევებში მონაწილე იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც 65 ან მეტი წლის იყვნენ. მხოლოდ 450 მონაწილე იყო 70 წელს გადაცილებული. ეს მონაცემები „ფაიზერისა“ და „ბიონტექის“ კვლევებთან არის შედარებული, რომელთა კვლევის მონაწილეთა 40 პროცენტზე მეტი 55 წელს გადაცილებული იყო.

ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲗ ᲜᲐᲕᲐᲚᲜᲘ!!!

ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲜᲐᲕᲐᲚᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ **გამოტანილი განაჩენი მიუღებელია, პოლიტიკური უთანხმოება დანაშაული არ არის,** — ასე გამოეხმაურა საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი რუსი ოპოზიციონერის ალექსეი ნავალნისთვის მოსკოვის საქალაქო სასამართლოს მიერ პატიმრობის მისჯას.

საფრანგეთის ლიდერი რუსეთს ალექსეი ნავალნის დაუყოვნებლივი გათავისუფლებისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლებების პატივისცემის საკითხი არასდროს გადაიხედება. მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ოპოზიციონერ ალექსეი ნავალნის „ივ როშეს“ საქმეზე პირობითი სასჯელი რეალურით შეცვალა და 3,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

* * *

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომ ალექსეი ნავალნი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ.

„ალექსეი ნავალნის გადაწყვეტილება, მოწამვლის შემდეგ რუსეთში დაბრუნებულიყო, ნამდვილად მამაცური და თავდადებითი ნაბიჯი იყო. დღევანდელი განაჩენი სუფთა ლაჩრობაა მართლმსაჯულების ყველაზე ბაზისურ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. ალექსეი ნავალნი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ“, — განაცხადა ბორის ჯონსონმა.

* * *

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ კანცლერი ანგელა მერკელი ალექსეი ნავალნისთვის პირობითი სასჯელის პატიმრობით შეცვლას გმობს.

„ალექსეი ნავალნის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი შორსაა კანონის უზენაესობისგან. ნავალნი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ. მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ ძალადობა უნდა შეწყდეს“, — განაცხადა გერმანიის კანცლერმა.

* * *

ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ **ოპოზიციონერ ალექსეი ნავალნის მხარდასაჭერ აქციებზე ათასზე მეტი ადამიანი დააკავეს. შესაბამის მონაცემებს უფლებადამცველი ცენტრი „ოვდ-ინფო“ ავრცელებს. ყველაზე მეტი დაკავებულია მოსკოვში, კერძოდ, 828 ადამიანი.**

ᲡᲔᲜᲐᲢᲘ ᲢᲠᲐᲛ�პᲡ ᲘᲛ�პᲘᲩᲛᲔᲜᲢᲖᲔ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲡ

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ადვოკატები აცხადებენ, რომ სენატს არ აქვს უფლება, დონალდ ტრამპი იმპიჩმენტის ფარგლებში გაასამართლოს, ვინაიდან ყოფილი პრეზიდენტი უკვე კერძო პირია.

„აშშ-ის კონსტიტუცია მოითხოვს, რომ პირს თანამდებობა უნდა ეკავოს იმისათვის, რომ მის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა განხორციელდეს. იმის გათვალისწინებით, რომ 45-ე პრეზიდენტი უკვე აღარ არის პრეზიდენტი, სენატი იმპიჩმენტის ფარგლებში თანამდებობიდან გადაყენების დებულებას ვერ განახორციელებს“, — ნათქვამია დონალდ ტრამპის ადვოკატების განცხადებაში.

ყოფილი პრეზიდენტის დაცვის მხარე ასევე აცხადებს, რომ სენატს არა აქვს უფლება, დონალდ ტრამპს მომავალში სახელმწიფო თანამდებობების დაკავება აუკრძალოს, ხოლო ამგვარი აკრძალვა კონსტიტუციის დარღვევა იქნება. ამასთანავე, დონალდ ტრამპის ადვოკატები აღნიშნავენ, რომ 6 იანვარს მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას დონალდ ტრამპს კაპიტოლიუმზე შტურმის განხორციელების პროვოცირება არ მოუხდენია.

„ჩვენ უარვყოფთ იმას, რომ პრეზიდენტის სიტყვებს „თუ არ იბრძოლებთ, ქვეყანა აღარ გექნებათ“ რამე კავშირი ჰქონდა კაპიტოლიუმთან განვითარებულ მოვლენებთან, ვინაიდან ამ სიტყვებში საუბარია არჩევნების უსაფრთხოებისთვის ბრძოლის აუცილებლობაზე. ჩვენ უარვყოფთ, რომ 45-ე პრეზიდენტი აშშ-ის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობდა“, — აღნიშნულია განცხადებაში. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი 8 თებერვალს დაიწყება. პროცესის ფარგლებში წარმომადგენელთა პალატის წარმომადგენლები, ე.წ. იმპიჩმენტის მენეჯერები ბრალდების მხარის როლს შეასრულებენ, ხოლო სენატორებს ნაფიც მსაჯულთა როლი დაეკისრებათ. იმპიჩმენტის პროცესს „დემოკრატი“ სენატორი, პატრიკ ლიხი უხელმძღვანელებს.

ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ ᲐᲑᲝᲑᲝᲭᲠᲓᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ **პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ ხელი მოაწერა განკარგულებას სახალხო დეპუტატის ტარას კოზაკის, ასევე მის მედიაჰოლდინგში შემავალი ტელეარხების წინააღმდეგ სანქციების დაწესების შესახებ.**

სანქციების მოქმედების ვადა ხუთი წელია. გადაწყვეტილება უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო. სანქცირებულ ტელეკომპანიებს შორისაა „112 უკრაინა“, NewsOne და ZIK. მედიასაშუალებების წინააღმდეგ დაწესებული სანქციები ითვალისწინებს აქტივების ბლოკირებას, უკრაინის ფარგლებს გარეთ კაპიტალის გატანის აღკვეთას, ეკონომიკური და ფინანსური ვალდებულებების შესრულების შეჩერებას, საქმიანობის ლიცენზიების გაუქმებას ან შეჩერებას, რადიოსიხშირის გამოყენების აკრძალვას, რეტრანსლირებისა და ტელესაკომუნიკაციო მომსახურების გაწევის აკრძალვას და სხვა.

ტელეარხების მფლობელი მედიაჰოლდინგის განცხადებით, ეს არის არასასურველი მედიის წინააღმდეგ პოლიტიკური ანგარიშსწორება.

ტარას კოზაკი პარტიის „ოპოზიციური პლატფორმა სიცოცხლისთვის“ ლიდერის, დეპუტატ ვიქტორ მედვედჩუკის უახლოესი მოკავშირეა. ვიქტორ მედვედჩუკი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან დაახლოებული პირია. აღმოსავლეთ უკრაინაში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემდეგ ის მონაწილეობდა რუსეთსა და უკრაინაში დაპატიმრებულთა გაცვლის ორგანიზებაში.

ხიშტი კარგია ძალაუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ძალიან ცუდია დასაჯდომად...

ჭავჭავაძის გამზირის განახლების საკითხებზე

ბრმა უნდა იყო ადამიანი, რომ ვერ დაინახო ის მასშტაბური საქმეები, რაც გაკეთდა და კეთდება ქვეყანაში და დედაქალაქში. მათ შორისაა ჭავჭავაძის გამზირი, რომელიც კონცეპტუალურად განსხვავებული მოვლენაა.

მე არ ვეკუთვნი დაუნახავთა რიცხვს, მაგრამ ვრჩები ერთგული პრინციპისა: სათქმელი უნდა ითქვას.

მოსალოდნელი იყო, ჭავჭავაძის გამზირის განახლება, სატრანსპორტო ნოვაციები მრავალ მოულოდნელ საკითხს „ამოაგდებდა“ და აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა. მოძრაობის ახალი სქემით საზოგადოების ერთი ნაწილი — საქალაქო ტრანსპორტის მძღოლები და მგზავრები, სკუტერებითა და ველოსიპედებით მოსარგებლე ახალგაზრდები, კმაყოფილია, მეორე, მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა ცხოვრების წესი, ინდივიდუალურ ტრანსპორტზეა აწყობილი, უკმაყოფილო. სატრანსპორტო ნოვაციაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ვიტყვი მოკლედ.

ჩემი ტრადიციული, ყოველდღიური მარშრუტი, 40 წლის მანძილზე, სახლი — სამსახური და უკან, იყო და არის ვარაზისხევი — ჭავჭავაძის გამზირი. არ მახსენდება ამ მონაკვეთზე, თუნდაც ერთი შემთხვევა საცობისა. დღეს კი საცობია დღის ყველა დროს, ზოგჯერ მეტი, ზოგჯერ ნაკლები. იყო შემთხვევები, როდესაც გმირთა მოედნის ესტაკადებია „გაჭედილი“. საცობი, უპირატესად იწყება ვარაზისხევის შუა წელიდან ჭავჭავაძის გამზირამდე, აქედან „პიქსელამდე“ შედარებით ნორმალური პირობებია. „პიქსელიდან“ თამარაშვილის ქუჩამდე მუდმივად საცობია. საცობს ქმნიან ავალიშვილის ქუჩიდან შემომავალი მანქანები. საქალაქო ტრანსპორტის ორი ზოლი, განაპირა ზოლებთან შედარებით, დაუტვირთავია. უმძიმესი მდგომარეობაა პარალელურ — ფალიაშვილის, აბაშიძე-ბარნოვის ქუჩებზე. ტრანსპორტის რეგულირების საკითხი ექვემდებარება ზუსტ გაანგარიშებებს, მსოფლიოს ამის დიდი პრაქტიკა აქვს. როგორ მოხდა, რომ „ავტორიტეტულმა“ უცხოურმა ფირმამ ეს ვერ გამოთვალა?

საკითხები, ამ წერილში რომ არის დასმული, ერთი შეხედვით, უმნიშვნელოა, მაგრამ ისინი ყოველდღიურ დისკომფორტს უქმნიან ათასობით ადამიანს.

1. მიწისქვეშა გადასასვლელების კიბეებით სარგებლობს ყველა ასაკის მოძალაძე. კიბეების საფეხურების სიმაღლე უმეტესად 16-17 სმ-ია, რაც უაღრესად არაკომფორტულია, განსაკუთრებით ასაკოვნების და მცირეწლოვნებისათვის. 16-17 სმ „მძიმე“ საფეხურად ითვლება და დასაშვებია არა ინტენსიური დატვირთვის და არა საზოგადოებრივ ადგილებში. 15 სმ სიმაღლის საფეხურები დასაშვებია მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში, სადაც ვერტიკალური კომუნიკაციის ძირითადი საშუალება ლიფტია, ხოლო კიბე, ძირითადად, სართულშუა კავშირების და სახანძრო-საევაკუაციო საშუალებაა. მიწისქვეშა გადასასვლელებში კიბის მარშების სიგრძე ყველგან იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ 3-4-ით გაზრდილიყო საფეხურთა რაოდენობა და საფეხურების სიმაღლე 14 სმ-მდე დაგვეყვანა. ეს კომფორტული იქნებოდა ყველასთვის, ხოლო 13 სმ — იდეალური. ბევრ შემთხვევაში საფეხურთა სიმაღლე ერთი და იმავე მარშში განსხვავებულია, რაც კატეგორიულად აკრძალულია. ეს „წვრილმანი“ ათეული წლების მანძილზე ათასობით ადამიანს შეუქმნის დისკომფორტს.

2. ჭავჭავაძის გამზირის ტროტუარები გამორჩეულად განიერია — 7-8 მეტრი. ადრე, მისი განაპირა 2-მეტრიანი ზოლი გამოყენებული იყო ავტოსადგომებად, რაც მოხერხებული იყო მოსახლეობისთვის და მრავალრიცხოვანი მომსახურების ობიექტებისთვის. რატომ, რა ლოგიკით, მიეცა ველოსიპედით, მოტოციკლეტით და სკუტერით მოსარგებლეთ უპირატესობა ათჯერ მეტ მოქალაქეზე, მათ ოჯახებზე? რა ზარალი განიცადეს მომსახურების და სავაჭრო ობიექტებმა? რა შესთავაზა მერიამ მოსახლეობას გაუქმებული სადგომების სანაცვლოდ? ჩემის ღრმა რწმენით, ტროტუარებზე სადგომების აკრძალვა ამ კონკრეტულ რეალობაში, მსოფლიოს დიდი ტურისტული ქალაქების, სადაც ტროტუარების ფეხმავლებით დატვირთვა 10-ჯერ მეტია ჭავჭავაძის გამზირთან შედარებით, ზედაპირული წამხედურობაა.

ჭავჭავაძის გამზირი არ არის თბილისის არც ისტორიული ბირთვი და არც რუსთაველის გამზირი, მით უმეტეს არც პარიზის, ათენის, რომის, ნიუ-იორკის და სხვა ტურისტული მეგა-ქალაქების ქუჩა.

აბა, ნახეთ ჭავჭავაძის გამზირის ტროტუარების „დატვირთვა“ — მის ორივე მხარეს, უნივერსიტეტიდან ვაკის პარკამდე 200-300-მეტრიანი კვარტალების გასწვრივ 50-80-ზე მეტ ადამიანს თუ იპოვით.

უმანქანო ტროტუარი იდეალურია, მაგრამ ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში, ხშირად, გადაწყვეტილებები ალტერნატიულია, ცუდსა და უარესს შორის.

ადმინისტრირება, აკრძალვა, არ არის დისციპლინის დამყარების საუკეთესო საშუალება. „ხიშტი კარგია ძალაუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ძალიან ცუდია დასაჯდომად“.

3. შემდეგი საკითხი ესთეტიკას ეხება — სილამაზეს, რომელიც არ ითხოვს დამატებით სახსრებს, არამედ ითხოვს ოსტატობას, მხატვრის, არტისტის ხედვას. ჭავჭავაძის გამზირის ტროტუარების თითქმის 3-4-კილომეტრიანი მონაკვეთი მოშანდაკებულია ორი ტიპის ბუნებრივი ქვის ფილებით (სპეციფიკაციით). არა ვარ დარწმუნებული ამ ძვირად ღირებული მასალის გამოყენების აუცილებლობაში, მით უმეტეს, როდესაც იქ მანქანები ვერ შედიან. ქვაფენილი, დამატებითი ხარჯების გარეშე შეიძლება გამხდარიყო დედაქალაქის ერთ-ერთი გამორჩეული, ულამაზესი და ორიგინალური მხატვრული ელემენტი. დღევანდელი ქვაფენილის მხატვრული სახე მონოტონური, მოსაწყენი და დამთრგუნველია. ის ხელოსნის ხედვაა და არა არქიტექტორის, მხატვრის. დაიკარგა გამორჩეულობის, ერთადერთობის უნიკალური შესაძლებლობა. ესეც არცოდნის თუ ყველაფრისმცოდნეობის ამბიციის შედეგია.

აზრი უფრო გასაგები რომ იყოს, ვიტყვი: ვაკის პარკის შესასვლელის მოშანდაკება მხატვრულად გაცილებით საყურადღებოა.

ცალკე საკითხია ქვაფენილის შესრულების ხარისხი. ის უაღრესად დაბალია. სამწუხაროდ ფილები არ არის ერთმანეთთან მორგებული, ამიტომაც ნაკერები ცვალებადია.

ქვაფენილის უმეტესობა ჩემთვის უცნობი კარიერის ბუნებრივი ქვის ფილებია, რომელთა 25-30% დაფერფლილია ანუ უხარისხოა. ამ უხარისხობის შედეგი გარკვეული დროის შემდეგ უფრო მეტად იქნება საგრძნობი.

4. პროფესიული უვიცობის მკაფიო მაგალითი — მაგალითი იმისა, როდესაც „მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა“. საკითხი ეხება პატარა სკვერს ნინო რამიშვილის ქუჩის დასაწყისში, სადაც დიდი მეცნიერის ნიკო მუსხელიშვილის ძეგლია განთავსებული. ანბანური ჭეშმარიტებაა, თუ სკვერში, კურდონერში, საერთოდ ქალაქში თუ ქალაქგარეთ განთავსებულია ძეგლი ან მემორიალი, ყველაფერი ექვემდებარება მას. კეთილმოწყობის ელემენტები, მცირე არქიტექტურა, ლამპიონები, ფერი, ყვავილნარები, ბუჩქი თუ ხე, ითხოვს ქანდაკებისადმი დაქვემდებარებას. ყველაფერი უნდა იყოს ფონური, პასიური. ზემოთხსენებულ სკვერში, ასევე თბილისის მრავალ ქანდაკებასთან მიმართებაში, ეს პრინციპი დარღვეულია. მუსხელიშვილის ქანდაკების უკან, გვერდებზე და წინ, დაირგა 30-მდე 4-5 მეტრის სიმაღლის ფოთლოვანი ხე. თქვენ დიდი ჯაფა დაგჭირდებათ, მოძებნოთ წერტილი, საიდანაც შესაძლებელი იქნება, ძეგლის მთლიანად აღქმა. 2-3 წელიწადში, ქანდაკებას უფრო დიდი პრობლემები შეექმნება აღქმის და განათების თვალსაზრისით. ის „ულრან ტყეში“ აღმოჩნდება. რაც ასევე გაუგებარია, პიედესტალს დაუმატეს თეთრი, კონტექსტიდან ამოვარდნილი, არაპროპორციული პლინტი. რჩება შთაბეჭდილება, ჩოხოსან მამაკაცს ყელზე პიონერის ყელსაბამი შეაბეს და თავზე კოვბოის ქუდი დაახურეს. შევეხმიანე ძეგლის თანაავტორს, გამოჩენილ ქართველ არქიტექტორს და მხატვარს, ბატონ გივი ჯაფარიძეს. — **ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს, მერიაში განცხადებების წერის და სირბილის თავი არა მაქვსო.**

რაც შეეხება სკვერის განათებას ლამპიონებით, ის სრულიად შეუსაბამოა ქანდაკებასთან მიმართებაში. სკვერი უნდა განათდეს გაზონის სოფიტებით, ხოლო ქანდაკება ქვემოდან მინათებით.

ძეგლის აღქმას, ასევე, ხელს უშლის მის უკან, კედელზე, ამ რამდენიმე თვის წინათ შესრულებული, აქტიური პანო.

5. ნ. მუსხელიშვილის ძეგლიდან 300 მეტრზე მდებარეობს მერაბ ბერძენიშვილის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძმნილება - დავით გურამიშვილის ძეგლი. ის განსაკუთრებული იყო არა მხოლოდ როგორც ქანდაკება, არამედ არქიტექტურის და ქანდაკების მინიმალისტური, რევერანსული მთლიანობა. მონუმენტი ლაკონურობის საუკეთესო მაგალითი იყო, ისეთი, როგორც შეეფერება ორ დიდოსტატს, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილს და არქიტექტორ ლადო ალექსი-მესხიშვილს. დღეს ეს ლაკონიზმი რადიკალურად შეცვლილია ძეგლის საზიანოდ. სკვერის მარჯვენა მხარეს 300 მ²-მდე ფართი, ასევე უკანა და მარჯვენა გაზონები მოკენჭილია უცხოეთიდან, შემოტანილი, „კაშკაშა“, თეთრი ქვებით. ძეგლის წინ სიმეტრიულად განთავსებულია სამსაფეხურიანი საჯდომები, რომელთა შესაფერი ადგილი მხოლოდ საბავშვო ბაღია. ორივე მაგალითი პროფესიული ინფანტილიზმის მაგალითია. იქნებ, მერიამ დასდოს პატივი საზოგადოებას და უთხრას, დამტკიცების რა პროცედურა გაიარეს ამ სკვერების პროექტებმა, ვინ დაამტკიცა, ვინ არიან ავტორები?

არქიტექტურას, შემოქმედებით თავისუფლებასთან ერთად, მყარი დოგმები გააჩნია. ყველაფერი არ შეიძლება! „მაძვს გულს მიდებული ძნარი, როგორც მინდა“ არქიტექტურაში არ გამოდის. ვერცხლისფერი ნაძვიც კი, ბუნების ეს მშვენიერება, შეიძლება სადღაც ზედმეტი იყოს. როგორ გგონიათ, იტალიელებმა, ხუთი საუკუნის მანძილზე ვერ გამონახეს სახსრები, იმისთვის, რომ სინიორის მოედანზე, დავითის ძეგლთან პატარა ყვავილნარი მოეწყოთ, ან იქვე, გვერდზე, ნეპტუნის ფანტანის ირგვლივ, ბზები ან კიპარისები დაერგოთ?

თბილისში, თითქმის ყველა ძეგლის და მემორიალის პირვანდელი გარემო რადიკალურად შეცვლილია. მათ გარშემო შეიქმნა წარმოუდგენელი ქაოსი, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონის, „მზეჭაბუკის“ ძეგლები ამ ქაოსში არიან ჩაკარგულნი. არც „ვეფხი და მოყმის“ და საakაძის მონუმენტების ირგვლივ გულმოდგინედ მოწყობილი ფერადოვანი ყვავილნარი და გამწვანებაა გონივრული გადაწყვეტა. ასეთი ფერადოვანი გარემო ძეგლებს არ ჭირდებათ.

ბაგრატიონის ცხენოსანი მონუმენტი, მის წინ ახლახან გაშენებულმა სკვერმა, ვრცელი სივრცის (მოედნის) აქცენტიდან, სკვერის რიგით ელემენტად აქცია.

დავით აღმაშენებლის ძეგლის სატრანსპორტო ტრასაზე მიგდება წინა ხალისუფლების სახელმწიფო დანაშაული იყო, ხოლო „ოცნების“ პერიოდის მერიის მიერ, რვა წლის მანძილზე, მისი იმ აბრაკადაბრაში დატოვება უფრო დიდი დანაშაულია.

6 ჭავჭავაძის გამზირზე, მიწისზედა სანაგვე ურნები შეიცვალა მიწისქვეშა სარკოფაგებით. გამზირის განივი ქუჩებიდან სანაგვე ურნები აიღეს. პროსპექტი იქცა მთავარ ნაგავგამტარ არტერიად. მოსახლეობას უწევს სულ მცირე, 200-300 მეტრის დაშორებით გამზირზე განთავსებული სანაგვე ცილინდრებით სარგებლობა — ნარჩენების ფუთით გამზირზე „გასეირნება“. ზოგიერთებმა, სამსახურში მანქანით მიმავალმა, არჩია ნაგავი თან გაიყოლოს და პირველივე სანაგვე ბუნკერში მოისროლოს. საჭირო იყო ამ ბუნკერების მოწყობა არა გამზირზე, არამედ ადაპტირებულ ადგილებში, საცხოვრებლებთან ახლოს. სანაგვე პლატფორმა, როგორი ლამაზიც არ უნდა იყოს ის, არ არის გამზირის სასურველი ელემენტი.

კუს ტბის ასახვევის „კარიბჭე“, რომლის ორ მხარეს ხალხური არქიტექტურის მუზეუმის ნატიფად ორნამენტირებული „ფირნიშია“ ჩასმული, დანგრევის პირასაა. კარგი იქნებოდა გამზირის მასშტაბური სამუშაოების დამპროექტებლებს და მშენებლებს მოეხდინათ მისი რეაბილიტაცია.



ვახტანგ დავითაია,
არქიტექტორი
577-73-42-57

P.S. **შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ქალაქის მერი, მისი მოადგილეები და განყოფილებათა ხელმძღვანელები უნდა სწვდებოდნენ ქალაქში მიმდინარე პროცესების ყველა წვრილმანს. ზემოთ აღნიშნული საკითხები დამპროექტებლების, საავტორო ზედამხედველების, მოიჯარე ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა, პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ.**

ვ. დ.

გვეხმაურებიან

პანთეონი ეროვნული კულტურის ძეგლია!

გავეცანი თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ბატონ ვახტანგ დავითაიას წერილს „მინი არლინგტონი მახათას მთაზე“. სრულად ვეთანხმები მის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პანთეონი ეროვნული კულტურის ძეგლის გამოხატულება უნდა იყოს და არა არსებული ტიპირი სტანდარტის პრიმიტიული გამეორება.

ისიც უნდა ითქვას, რომ სრულიად მიუღებელია ჰუმანურობას მოკლებული, არაქრისტიანული პრინციპი — პიროვნების დაკრძალვა მეუღლის გარეშე.

ვფიქრობ, ბევრი გამოჩენილი, ღირსეული პიროვნება უარს იტყვის ასეთი პრინციპის მატარებელ პანთეონში სამუდამო სასუფეველზე.

პატივისცემით
მერაბ კოპოჩაშვილი

ეროვნული აკადემია – თავად დიდი აკადემიკოსი

საქართველოს მეცნიერება მეცნიერებათა აკადემიის 80 წლისთავზე


ივანე ბერიტაშვილი


ალ. დიდებულიძე


გიორგი ნიკოლაძე

1945 წლის 11 ივნისს, ომის დამთავრების შემდეგ, ნ. მუსხელიშვილს „მექანიკის დარგში, განსაკუთრებით დრეკადობის თეორიაში დიდი მეცნიერული დამსახურებისთვის და აგრეთვე, ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისთვის სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად“ მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. 1971 წლის 10 თებერვალს ნიკო მუსხელიშვილის 80 წელი აღინიშნა. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მსტისლავ კელდიშმა სიამაყით განაცხადა, რომ ის ნიკო მუსხელიშვილის მოწაფე იყო, თან დასძინა: „ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილი ჩვენი დროის ერთ-ერთი დიდი მექანიკოსია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე მათემატიკის მრავალ დარგში...“

* * *

მათემატიკურ მეცნიერებათა განვითარება საქართველოში თბილისის უნივერსიტეტში წარიმართა. სწორედ აქ მოღვაწეობდნენ ანდრია რაზმაძე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ვარიაციათა აღრიცხვაში, ნიკო მუსხელიშვილი – დრეკადობის თეორიის შემქმნელ-განმავითარებელი; არჩილ ხარაძე – ანალიზისა და ფუნქციათა თეორიის საკითხებში გამოკვლევათა ავტორი; გიორგი ნიკოლაძე – საქართველოში გეომეტრიული მეცნიერების განმავითარებელი;

ნიკო მუსხელიშვილს დიდი ამაგი აქვს ახალგაზრდა კადრების აღზრდაში. სწორედ ბატონი ნიკო იყო ქართული მათემატიკური სკოლის თავკაცი. ნიკო მუსხელიშვილის კაპიტალურ მონოგრაფიაში „Некоторые основные задачи математической теории упрогости“ (მიენიჭა პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია, 1941წ.) და „Сингуларные интегралние управления, граничные задачи теории функций и некоторые их приложений“ (სახელმწიფო პრემია, 1947წ.) შეჯამებულია ის დიდი და ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც თავად მეცნიერი და მისი მოწაფეები ეწეოდნენ.

ანდრია რაზმაძის (გარდაიცვალა 1929წ.) ნაშრომებმა, მიღებული მნიშვნელოვანი შედეგების შესაბამისად, მაღალი შეფასება დაიმსახურა.

არჩილ ხარაძის ნაშრომები კლასიკურ ანალიზს შეეხებოდა. მისმა შრომებმა აღიარება ჰპოვეს არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშიც.

გიორგი ნიკოლაძე ინჟინერ-მეტალურგი იყო. ავტორია რამდენიმე სახელმძღვანელოსი მათემატიკაში და მათემატიკური ტერმინოლოგიის შემქმნელია. მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა **ვლ. ჭელიძეს** მწკრივთა თეორიაში. წარმატებული იყო ტოპოლოგიაში **გ. ჭოღოშვილი,** ფუნდამენტური გამოკვლევები ეკუთვნით **ა. რუხაძესა** და **ა. გორგიძეს; ნ. ვეკუასა** და **ბ. ხვედელიძეს; ვ. კუპრაძეს** და ილ. **ვეკუას; ა. ბიწაძეს** და **ლ. მაღნარაძეს; რ გამყრელიძესა** და **გ. ხარატიშვილს; დ. ბალაძესა** და **ნ. ბერიტაშვილს; ნ. ვახანიასა** და **ხ. ინასარიძეს; ლ. ბუიშვილსა** და **შ. ბურჭულაძეს;** ლ. **ჟიჟიაშვილსა** და **თ. გეგელიას; მ. მესტვირიშვილსა** და **ი. კიღურაძეს; ც. ხარაზიშვილსა** და **ე. ნადარაიას.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №23-24

აკადემიკოსები და საპატიო აკადემიკოსები. 1944 წ.


კ. გამსახურდია

გალაკტიონ ტაბიძე


გიორგი ლეონიძე

ა. ბოგომოლეცი


ვ. ვორონინი


ვ. კომაროვი

გიორგი კვესიტაძე,
აკადემიკოსი

როინ მეტრეველი,
აკადემიკოსი

მსოფლიოში აღიარებულია ქართული ფიზიოლოგიის მეცნიერული სკოლა. 1919 წელს უნივერსიტეტში იწყებს მუშაობას ივანე ბერიტაშვილი. აქედან მოკიდებული, საქართველოში ჩაისახა ფიზიოლოგია და შემდგომი განვითარებაც ჰპოვა. ჩამოყალიბდა ფიზიოლოგიის სკოლა, რომლის მეთაური ივანე ბერიტაშვილი იყო. ამ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ **ალექსანდრე ბაკურაძე** (თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი), **პეტრე ქომეთიანი** (თსუ), **ალექსანდრე გოცირიძე** (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი) **დიმიტრი გედევანიშვილი** (თბილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტი), **სერგი ნარიკაშვილი** (ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი) და **ნიკოლოზ ძიძიშვილი** (ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი).

უნივერსიტეტის ფიზიოლოგიური ლაბორატორია ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით გადაკეთდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტად მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. ინსტიტუტში ესა თუ ის პრობლემა შეისწავლებოდა როგორც ფიზიოლოგიური, ისე სტრუქტურული და ბიოქიმიური ანალიზითაც. ეს საქმე კეთდებოდა ნეიროჰისტოლოგიის განყოფილებასა (გამგე – პროფესორი **ავლიპ ზურაბაშვილი**) და ბიოქიმიის ლაბორატორიაში (გამგე **პეტრე ქომეთიანი**).

ივანე ბერიტაშვილმა და მისმა მოწაფეებმა, კოლეგებმა გამოიკვლიეს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედება. ამ ჯგუფს დიდი ღვაწლი მიუძღვის ე.წ. შეკავების საკითხის კვლევაში, დიდი ტვინის ქერქის გამაერთიანებელი სინთეზური მოქმედების შესწავლაში.

1974 წელს შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება. აქ შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ სხვადასხვა მიმართულებით: **ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების ძირითადი მექანიზმები, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგია და პათოლოგია, ნეირომორფოლოგია, ნეიროქიმია, რადიოლოგია და სხვა. განყოფილების წევრები სხვადასხვა დროს იყვნენ: ა. ზურაბაშვილი, ვ. ოკუჯავა, ი. ტატიშვილი, ე. ფიფია, პ. ქომეთიანი, ო. ღუდუშაური, თ. იოსელიანი, ბ. ნანეიშვილი, თ. ონიანი, ნ. ჯავახიშვილი, ა. ბაკურაძე, დ. გედევანიშვილი, ს. ნარიკაშვილი, ი. ფაღავა, ა. ასათიანი, ვ. ბახუტაშვილი, თ დეკანოსიძე, ვ. მოსიძე, კ. ნადარეიშვილი, ნ. მითაგვარია, შ. ჯაფარიძე, ზ. ქევანიშვილი, რ. შაქარაშვილი, რ. ხეცურიანი, ნ. ალექსიძე, დ. მიქელაძე, ქ. ნემსაძე, თ. ნანეიშვილი, ნ. ყიფშიძე.**

ფსიქოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლების შესახებ ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით. ამჯერად ფიზიკის მეცნიერებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. საქართველოში ფიზიკის დარგის ინტენსიური განვითარება გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრამ **ალექსანდრე დიდებულიძის** ხელმძღვანელობით. ექსპერიმენტული ფიზიკის დარგში შემუშავდა კრისტალების მექანიკური თვისებების, დიელექტრიკების ელექტრონული თვისებების, მეორადი ემისიის, ფაზური გარდაქმნებისა და კოსმოსური სხივების პრობლემები. მნიშვნელოვანი შრომები ეკუთვნის **დ. ღოღობერიძეს**. აღსანიშნავია, რომ **ელეფთერ ანდრონიკაშვილმა** თანამშრომლებთან ერთად დაამუშავა დისპერგირების ახალი მეთოდი.

თეორიულ ფიზიკაში კვლევა-ძიება ძირითადად მიდიოდა ატომის გულის პრობლემების ირგვლივ **(ვ. მამასახლისოვი).** თავისი სიტყვა თქვა კვანტური მექანიკის კვლევის საქმეში მ. მირიანაშვილმა. თეორიული ფიზიკის (ფერადი კვარკები) მნიშვნელოვანი გამოკ-

ვლევა ჰქონდა **ალ. თავხელიძეს**. აღსანიშნავია ქართველი ფიზიკოსების წვლილი ფიზიკის სპეციალობის ორგანიზებაში. მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიკვლიეს: **თ. სანაძემ, ნ. ამაღლობელმა, რ. სალუქვაძემ, თ. კოპალეიშვილმა, ნ. ცინცაძემ, გ. ხარაძემ, ა. ნერსესიანმა, ნ. ცინცაძემ, გ. ჯაფარიძემ, ა. ხელაშვილმა, ა. კვინიხიძემ**.

საქართველოში ქიმიის აღორძინებას საფუძველი ჩაუყარეს **ვასილ პეტრიაშვილმა** და **პეტრე მელიქიშვილმა**. მათ შეუერთდა **იასონ მოსეშვილი,** რომელიც ოდესიდან ჩამოვიდა და უნივერსიტეტში კითხულობდა ქიმიის სპეციალურ კურსს. რუსეთიდან იყვნენ ჩამოსული **ი. ქუთათელაძე** და ა. **მოსეშვილი**. ქიმიის პრობლემების კვლევაძიებაში მონაწილეობდა **პ. მელიქიშვილის** მოწაფე **ლევ პისარჟევსკი**.

დიდი მუშაობა შესრულდა მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ მინერალური საწვავის — ნავთობის და ქვანახშირის ქიმიური ბუნების დადგენის მიმართულებით. ნახშირის ქიმიის დარგში წარმატებით მუშაობდა **პეტრე ცისკარიშვილი** თავის ჯგუფთან ერთად. აკადემიის ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიაში კვლევით მუშაობას ხელმძღვანელობდა **დიმიტრი ერისთავი**. მასთან თანამშრომლობდნენ **დ. ბარნაბიშვილი, ი. პაპიაშვილი** და **გ. რამიშვილი**. დიდი მუშაობა ჩაატარა **გ. ვ. ციციშვილმა** (მოლეკულათა შორის წყალბადის ბმა). კოლოიდური ქიმიის კვლევას ხელმძღვანელობდა **ბ. კანდელაკი**. ელექტროქიმიის ჯგუფის თავკაცი **რ. აგლაძე** იყო. ვიტამინების ბიოქიმიას წარმატებით სწავლობდა **ვ. ასათიანი;** რძისა და საკვების ბიოქიმიას — **პ. ქომეთიანი**. ალკოჰოლური დუღილის დროს ქარვის მჟავის წარმოშობის პირობებსა და რეგულირების შესაძლებლობის გამოკვლევის მიზნით დიდი მუშაობა ჩაატარეს **ვარლამ ღვალაძემ** და **სერგი დურმიშიძემ**. ჩაის ბიოქიმიის შესწავლისას მოწვეული იყვნენ დარგის ცნობილი ბიოქიმიკოსები — **ალექსანდრე ოპარინი** და **ანდრია ფურანოვი, მიხეილ ბოკუჩავა** და კონსტანტინე ჯმუხაძე, რომელთა ხელმძღვანელობითაც მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა. შედეგები რამდენიმე კრებულში (Биохимия чайного производства) დაიბეჭდა. ფარმაცევტული ქიმიის სათავეში **ი. ქუთათელაძე** იდგა.

1963 წელს აკადემიაში შეიქმნა ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება. ქიმიურ ინსტიტუტებთან ერთად შემოვიდა მეტალურგიის ინსტიტუტი. სხვადასხვა სამეცნიერო პრობლემებზე მუშაობდნენ **ფერდინანდ თავაძე, ნიკოლოზ ლანდია, თეიმურაზ ანდრონიკაშვილი, ლეონიდე მელიქაძე, ილია გვერდწითელი, რევაზ დოღონაძე, კალისტრატე ქუთათელაძე. მნიშვნელოვანი კვლევითი სამუშაოები ჩაატარეს გურამ გველესიანმა, ოთარ მჭედლიშვილმა, ლეონიდე ოკლეიმ, ირაკლი ჟორდანიამ, გივი ჩივაძემ, გური ცაგარეიშვილმა, გივი ცინცაძემ, ლოტარ ხანანაშვილმა, ლევან ჯაფარიძემ, ჯონდი ჯაფარიძემ. XX საუკუნეში მეტად ნაყოფიერი მუშაობა გააგრძელეს შოთა სამსონიამ, ბეჟან ჭანკვეტაძემ, გიორგი თავაძემ, ვლადიმერ ციციშვილმა**. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფარმაკოლოგიაში **ეთერ ქემერტელიძის** წარმატებული კვლევითი მუშაობა.

ჩვენი ქვეყანა უაღრესად საინტერესოა გეოლოგიური თვალსაზრისით. შესაბამისად, საქართველოს გეოლოგიური შესწავლა ადრევე დაიწყო. თბილისის უნივერსიტეტში გეოლოგიური მეცნიერებები 1919 წლიდან იკითხებოდა **(ნ. ყიფიანი)**. კვლევის საქმეს 1924 წლიდან სათავეში ჩაუდგა **ალექსანდრე ჯანელიძე**. თავის მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობა ჰქონდა ჩატარებული მინერალოგია-პეტროლოგიის კათედრას **ალექსანდრე თვალჭრელიძის** ხელმძღვანელობით. მნიშვნელოვანი იყო **კალისტრატე გაბუნიას** მოღვაწეობა. სერიოზული სამუშაოები ჩატარდა პეტროგრაფიის თვალსაზრისით მდინარეებზე **(გ. ზარიძე, ს. ჩიხლაძე, პ. გამყრელიძე, ვ. ედილაშვილი, თ. ყაზახაშვილი, გ. ლოლაძე)**. საინტერესო სამუშაოები ჩატარდა საქართველოს ტერიტორიაზე **(ნ. სხირტლაძე),** ზემო რაჭის ტეციტებზე **(ნ. თათარიშვილი)**. ვულკანოგენური ნალექების სისტემური პეტროგრაფიული კვლევა ჩაატარა **გიორგი ძოწენიძემ**.

გეოლოგიურმა სკოლამ **ალექსანდრე ჯანელიძის** მეთაურობით მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა. საქართველოში გავრცელებული გეოლოგიური ფორმაციები გამოიკვლიეს **ს. ჩიხლაძემ, ი. კახაძემ, მ. ერისთავმა, ა. ცაგარელმა და ივ. კაჭარავამ**.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს **პეტრე გამყრელიძემ, თეოფანე დავითაიამ, ალექსანდრე ჯავახიშვილმა, იოსებ ბუაჩიძემ, არჩილ ცაგარელმა. გეოლოგიური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებით კვლევაში დიდია ცნობილი მეცნიერების: მერაბ ალექსიძის, ერეკლე გამყრელიძის, გიორგი თვალჭრელიძის, იოსებ ბუაჩიძის, გიორგი ზარიძის, გივი სვანიძის, ნიკოლოზ სხირტლაძის, გურამ შენგელაიას, ვახტანგ ჯაოშვილის** წვლილი.

ცალკე უნდა აღინიშნოს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის **ერეკლე გამყრელიძისა** და განყოფილების წევრების **თამაზ ჭელაძის** (გეოფიზიკა), **რევაზ გაჩეჩილაძის** (გეოგრაფია), **მირიან თოფჩიშვილის, ფერანდო მაისაძის, მიხეილ კაკაბაძის, დავით შენგელიას** (გეოლოგია) ღრმა მეცნიერული კვლევები.

ე. ანდრონიკაშვილი

ა. ჯანელიძე

ა. ზურაბაშვილი

ილია ვეკუა



ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი (დაიბადა 1907 წ. 6.V — გარდაიცვალა 1977 წ. 2.XII,. სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა (1958 წ.) და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის (1946 წ.) აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი (1969 წ.), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1972-77 წწ.); სსრკ VII-IX მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1930 წ.); იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო განყოფილების თავმჯდომარე, აკადემიკოს-მდივანი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და ამავე აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმის წევრი;

ილია ვეკუა იყო ნოვოსიბირსკისა (1959-64 წწ.) და თბილისის (1965-72 წწ.) უნივერსიტეტების რექტორი.

მისი ძირითადი მეცნიერული შრომები ეხება მათემატიკისა და ფიზიკის აქტუალურ საკითხებს. კერძო წარმოებულებიანი ელიფსური განტოლებებისათვის დაამუშავა ამოხსნათა ზოგადი წარმოდგენების თეორია და შესაძლებელი გახადა მისი გამოყენება სასაზღვრო ამოცანების შესასწავლად. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერთგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში. განიხილა ფუნქციათა თეორიის მეტად ზოგადი სასაზღვრო ამოცანა, შენიშნა ამ ამოცანის ახლებური ბუნება, მოგვცა ინდექსის გამოსახულება და ბოლომდე შეისწავლა მისი ამოხსნადობის საკითხი. ეს გამოკვლევა საფუძვლად დაედო ღრმა განზოგადებებს ელიფსური დიფერენციალური ოპერატორების ინდექსის პრობლემის გამოკვლევაში.

ილია ვეკუამ დაამუშავა ე.წ. განზოგადებული ანალიზური ფუნქციების თეორია, რომელიც წარმოადგენს კლასიკურ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მნიშვნელოვან გაფართოებას.

ილია ვეკუას ეკუთვნის დრეკად გარსთა მათემატიკის თეორიის ახალი ვარიანტი, რომელიც გამოირჩევა მექანიკური სურათისადმი ზუსტი შესაბამისობით.

ილია ვეკუა იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის (1968 წ.), გერმანიის საბუნებისმეტყველო აკადემიის (1969 წ., ლეოპოლდინა), პალერმოს მეცნიერებათა, ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიის (1976, იტალია) უცხოელი წევრი, აგრეთვე მრავალი საერთაშორისო მათემატიკური ორგანიზაციის წევრი, სსრკ სახელმწიფო პრემიისა (1950 წ.) და ლენინური (1963 წ.) პრემიის ლაურეატი.

დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ქართული კარტოგრაფიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის **ალექსანდრე ასლანიკაშვილს**.

განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ, რომ 1932 წელს აბასთუმანში დაარსდა სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია. **ევგენი ხარაძემ** შექმნა სამეცნიერო ცენტრი და განავითარა გამოკვლევები ასტრონომიის სხვადასხვა დარგში. აბასთუმნის ობსერვატორიამ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა თავისი სამეცნიერო საკვლევი საქმიანობით და დასამზერი აპარატით. **მიხეილ ვაშაკიძემ** განსაზღვრა ცეფეიდების კლასის ცვალებად ვარსკვლავთა ფერის მაჩვენებლები. სივრცეში სინათლის შთანთქმის საკითხის კვლევაში დიდი როლი აქვს **ვიქტორ ამბარცუმიანისა** და **შალვა გორდულაძის** ნაშრომებს. **გიორგი თევზაძემ** აღმოაჩინა ორი კომეტა (1942წ.).

ნიკო ბერძენიშვილი

შალვა ნუცუბიძე


სიმონ ჯანაშია

საქართველოს გეოფიზიკური კვლევების დიდი ისტორია აქვს. XX საუკუნეში ამ კვლევებს ხელმძღვანელობდნენ **ანდრია ბენაშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე, მიხეილ ნოდია**. შეიქმნა მეტეოროლოგიურ სადგურთა ქსელი. ამუშავდა სეისმური სადგური. გაიხსნა სინოპტიკური განყოფილება, რომელიც ამინდის ბიურო გადაკეთდა. აქ მეცნიერული მუშაობა მიმდინარეობდა **(ვ. გიგინეიშვილი, კ. გოგიშვილი, ე. ნაფეტვარიძე, ვ. პაპინაშვილი)**. კლიმატურად დახასიათდა რაიონები **(ი. გაჩეჩილაძე, გ. კორძახია, გ. ჭირაქაძე, ი. ქურდიანი, ბ. ბირშერტი)**. ქართველი გეოფიზიკოსები მონაწილეობდნენ საქართველოს თუ სხვა ქვეყნების მიწისძვრების ექსპედიციურ გამოკვლევებში. ვარიაციული გრავიმეტრის მეთოდით გამოკვლეულ იქნა ახალციხის მურანახშირი **(ბ. ბალავაძე);** პოლიმეტალურ და ბარიტის საბადოებზე გამოყენებული იქნა ელექტრომეტრული მეთოდი.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

№ 24-25. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲙᲕᲘᲠᲐ, 4-7 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 2021 ᲬᲔᲚᲘ.

ᲐᲚᲔᲙᲝ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ – ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ

ᲐᲠᲘᲐᲜ მომღერლები, რომლებიც თავიანთი გასაოცარი ხმით ჩვენს გონებაში სამუდამოდ იმკვიდრებენ ადგილს. უდავოდ ასეთთა შორისაა ალეკო (ალექსანდრე) ხომერიკი.

იგი დაიბადა გურიის დაბა ბახმაროში 1948 წლის 13 აგვისტოს ავთანდილ ხომერიკისა და ლილი ჩავლეიშვილის ოჯახში . თურმე აკვანში ჩაკრული ალეკო ისე ხმამაღლა ტიროდა, რომ მის სანახავად შემოსულ მეზობელს უმალ წამოუძახია — ამ ბაღანას ისეთი ხმა აქვს, მისგან კაი მოკრიმანჭულე გამოვაო. ისე აუხდეს ალეკოს ყველაფერი, როგორც ეს გამართლდა. მოგვიანებით მომღერალი ხშირად აღნიშნავდა: ხმა ჩავლეიშვილებისა გამომყვაო, გურული სიმღერების უბადლო შემსრულებელი სამუელ ჩავლეიშვილი ხომ მისი წინაპარი იყო...

ალეკოს ბავშვობა სხვებისგან არაფრით განსხვავდებოდა: მოხდენილი, ცელქი, მხიარული ბიჭი იყო. სკოლაშიც კარგად სწავლობდა. არც ქუჩა დაუკლია. შემდეგ იყო სავალდებულო სამხედრო სამსახური. სწორედ აქ აღმოაჩინა, რომ კარგი ხმა ჰქონდა. ჯარის შემდეგ ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში შედის და მურმან მახარაძესთან იწყებს სიმღერის სწავლას. ამ პერიოდში იგი უკვე ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ადილას“ სოლისტი-მომღერალია. აღნიშნულმა ჯგუფმა ანსამბლების საკავშირო კონკურსზე ლაურეატობა მოიპოვა.

1974 წელს ალეკო სამუსიკო სასწავლებელს წარმატებით ამთავრებს და ხარკოვის უნივერსიტეტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე აბარებს, თუმცა სიმღერისადმი ინტერესი და სურვილი არ ასვენებს. სულ მალე იგი თბილისის კონსერვატორიაში პროფესორ გიორგი გოგიჩაძის კლასში აგრძელებს სწავლას. სწორედ აქედან იწყება მომღერლის კარიერა. აქტიურ მონაწილეობას იღებს კონსერვატორიაში გამართულ აკადემიურ კონცერტებში.

ალეკო ხომერიკის ისტორიაში 1977 წელი საეტაპო, მეტად საინტერესო და ამაღელვებელი თარიღია... როცა ჯერ კიდევ კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტი თბილისის ოპერის თეატრის სოლისტად ჩარიცხეს. თეატრში მისვლისთანავე მომღერალმა წრთობა ცნობილ კონცერტმაისტერ ტატიანა დუნენკოსთან გაიარა. მისი დახმარებით მოამზადა აბესალომის პარტია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“ და თავის დროს დაელოდა. ეს დროც დადგა. ამავე წელს იგეგმებოდა თეატრში აღნიშნული ოპერის დადგმა. ჩვენი ცნობილი მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე დაინტერესდა თეატრის ახალგაზრდა სოლისტის მონაცემებით. მოსმენის შემდეგ მან თქვა: „ამ ხმის და შესაძლებლობების შემდეგ, თავს უფლებას ვერ მივცემ აბესალომი ვიმღერო. დღეს შენი სახით ახალი აბესალომი დაიბადა. ნამდვილად ბედნიერი ვარ. ახლა კი შემიძლია სცენიდან წასვლა, რადგან თეატრს უკვე ღირებული გამგრძელებელი ჰყავს“. ალეკოს ზურაბის ყურადღება და ამაგი არასოდეს დავიწყებია, ყოველთვის მადლიერებით იგონებდა.

ტენორები აბესალომის პარტიას მოღვაწეობის შუა პერიოდში მღერიან ხოლმე, როდესაც უკვე მიღებული აქვთ ვოკალური და სამსახიობო გამოცდილება... ემოციებით და შინაგანი განცდებით დატვირთული აბესალომის პარტია მდიდარ ვოკალურ მონაცემებს მოითხოვს, რთულია მისი ტესიტურა, სასიმღერო არეალი, ფრაზათა მოძრაობა და ამა თუ იმ ეპიზოდის საჭირო შეფერილობით მღერა. ყველა ვერ ბედავს მის სიმღერას, მასთან შეჭიდებას. და ხდება სრულიად გასაკვირი რამ, ახალგაზრდა, კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტი მღერის აბესალომის მთავარ პარტიას. მას ამისთვის არ დასჭირვებია კონსერვატორიაში სწავლის 5-6 წელი (როგორც ეს ხდება ხოლმე). რა იყო ეს? ახალგაზრდული ჟინი, რისკი, თუ დიდი გამბედაობა?! უდავოდ ეს გახლდათ საკუთარი თავის რწმენა, სიმღერისადმი განუზომელი სიყვარული და დიდი შინაგანი პასუხისმგებლობაც. ყველაფერმა ამან ახალგაზრდა მომღერალს უდიდესი წარმატება მოუტანა. ქართულ საოპერო სივრცეში ახალი ვარსკვლავი დაიბადა. მასთან ერთად ეთერის პარტიას უნიჭიერესი ახალგაზრდა მომღერალი მაია თომაძე მღეროდა. და აი, დგას სცენაზე, ფარდის წინ, ალექსანდრე ხომერიკი, ტაშისა და ოვაციების თანხლებით ქედს იხრის მსმენელისა და მაყურებლის წინაშე. მომღერალს დიდი ხნის განმავლობაში არ უშვებენ სცენიდან, კიდევ გაამეორებინეს აბესალომის ცნობილი არია. სპექტაკლს ზღაპრული წარმატება ხვდა წილად...

ალ. ხომერიკს 90-ზე მეტჯერ აქვს ნამღერი აბესალომის პარტია.

ალეკო, ისე როგორც უდიდესი იტალიელი ტენორი ფრანკო კორელი, სრულიად მოულოდნელად შემოიჭრა საოპერო სცენაზე. მას გააჩნდა ლითონისებური ბრწყინვალების ფართო დიაპაზონის, არაჩვეულებრივი სიძლიერის გამჭოლი ხმა კაშკაშა მაღალი ნოტებით. ეს ხმა სრულად შეესაბამებოდა ჰეროიკულ-დრამატული სახის საოპერო პარტიებს. ასე რომ, იგი საოპერო თეატრისთვის იყო დაბადებული. მას ხმის მოცულობით და გამძლეობით ბევრი ვერ შეედრებოდა.

ნათქვამია, ყველა გზა რომში მიდისო. არ ვიცი, ეს მოსაზრება ფართო განზომილებით რა შინაარსის შემცველია, მაგრამ მსოფლიოს საოპერო მომღერლების ვოკალური ხელოვნების დაუფლების გზა რომ იტალიისკენ მიდის, ეს ნამდვილად კარგად ვიცი. ამ გზას ადგნენ საქვეყნოდ განთქმული ჩვენი თანამემამულენი. სწორედ ეს გზა აირჩია უნიკალური ხმის პატრონმა ალეკო ხომერიკმაც. მან 1981-82 წლის სეზონზე სტაჟირება გაიარა იტალიის ქალაქ მილანის „ლა სკალას“ საოპერო თეატრში, სადაც იგი მსოფლიოში აღიარებული მეცო სოპრანოს ჯულიეტა სიმიონატოს მოსწავლე გახლდათ. „თქვენს ხმას ბევრი მუშაობა არ სჭირდება, მხოლოდ იტალიური ოპერებით უნდა გაამდიდროთ თქვენი რეპერტუარი“, — მოკლედ დაასკვნა სიმიონატომ. ალეკო იტალიაში ეუფლება ოპერებს: „აიდა“, „ტრუბადური“, „დონ კარლოსი“, „რიგოლეტო“, „ოტელო“ და გამდიდრებული რეპერტუარით საქართველოში ბრუნდება.

1982 წელს მომღერალი ჩაიკოვსკის VII საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა.

1983 წელს ალეკომ ოჯახი შექმნა წარმატებულ მუსიკოსთან მარინა დარჯანიასთან და ოჯახური წყვილი შემოქმედებით წყვილად გადაიქცა. ქალბატონი მარინა წლების მანძილზე მომღერლის უბადლო ხელოვნების თანაზიარი გახლდათ. ამავე წელს ალეკოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა, 1985 წელს კი სახალხო არტისტის წოდება. მან თბილისის ოპერის თეატრში გარდა, იტალიაში ნასწავლი ოპერებისა, მაღალ დონეზე წარმოაჩინა მთავარი პარტიები ოპერებში: „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლელა“, „კარმენი“, „ტოსკა“, „იოლანტა“, „ბორის გოდუნოვი“, „ევგენი ონეგინი“ და სხვა.

ოტელოს პარტიის სიმღერას მსოფლიოს განთქმული ტენორებიც კი ერიდებიან, ან მღერიან კარიერის ბოლოს, როცა ხმა უკვე სხვა ჟღერადობას იძენს. თავისთავად ხომერიკიც ფრთხილად მოეკიდა ამ პარტიის შესრულებას. კარგად გაეცნო ოპერის ლიბრეტოს, მოუსმინა არა ერთი ცნობილი ტენორის ჩანაწერს, გადაღებულ ფირებს. მომღერალი პარტიის შესწავლას ზურაბ ანჯაფარიძესთან იწყებს, იწყებს აუჩქარებლად, მაგრამ დიდი მონდომებით. ოტელოს სიმღერა ერთგვარად პროფესიულ გმირობად გვესახება. მასთან შეჭიდებას შინაგანი დამაჯერებლობა და რწმენა სჭირდება, ყველა ეს თვისება ალეკოს უხვად აღმოაჩნდა და დაიბადა ოტელოს კიდევ ერთი შთამბეჭდავი სახე. **„მიმაჩნია, რომ თუ ვინმეს შეუძლია საზღვარგარეთ საქართველოს სახელი გაუთქვას, ეს ალეკო ხომერიკია თავი ოტელოთი. იგი ამას არავისზე ნაკლებად არ გააკეთებს“** წერდა ზურაბ ანჯაფარიძე.

მიუხედავად ბევრის მთქმელი შესაძლებლობისა, ალეკო იშვიათად დადიოდა საგასტროლოდ. მხოლოდ ეპიზოდურად გამოდიოდა მოსკოვის დიდ თეატრში, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ესპანეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, რუმინეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, ჩეხეთში, იუგოსლავიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, თუმცა ეს საკმარისი სრულიადაც არ იყო. დასანანია, რომ მის ხელოვნებას და უნიკალურ ხმას სრულყოფილად ვერ გაეცნო ევროპისა და ამერიკის მაყურებელი. მის მიერ ნამღერი „ფედერიკოს ტირილი“ ნამდვილი შედევრი იყო.

1993 ᲬᲔᲚᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲐᲚᲔᲙᲝ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲡᲚᲐᲜ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲐ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ. ᲔᲡ ᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲓᲐ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲘᲧᲝ... ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲐᲮᲐᲚᲘ (ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲐᲓ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲠᲗᲣᲚᲘ) ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲔᲡ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲩᲐᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲐ. ᲐᲛᲐᲨᲘ, ᲣᲓᲐᲕᲝᲓ ᲐᲚᲔᲙᲝᲡ ᲚᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ ᲘᲓᲝ. ᲗᲔᲐᲢᲠᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐ. ᲘᲓᲒᲛᲔᲑᲐ ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲐᲑᲔᲡᲐᲚᲝᲛ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲘ“, ᲕᲔᲠᲓᲘᲡ „ᲐᲘᲓᲐ“, „ᲠᲘ�გᲝᲚᲔᲗᲝ“, ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲙᲘ „ᲝᲗᲔᲚᲝ“, ᲑᲘᲖᲔᲗᲘᲡ „ᲙᲐᲠᲛᲔᲜᲘ“, ᲚᲐᲚᲘᲫᲘᲡ „ᲚᲔᲚᲐ“. ᲐᲛ ᲡᲞᲔᲪᲢᲐᲙᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ. ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠ ᲜᲐᲕᲡᲐᲧᲣᲓᲠᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲜᲐᲮᲐᲕᲓᲘᲗ ᲐᲥ — ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲡ, ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲡ, ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲡ, ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔᲡ ᲗᲣ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲡ. ᲐᲡᲔ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ, ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲗ ᲨᲔᲘᲙᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲛᲐᲦᲐᲚᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲡᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘᲪ ᲐᲚᲔᲙᲝ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲚᲚᲔ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲘᲓᲒᲜᲔᲑᲓᲐ.

1995 წელს ხომერიკს შოთა რუსთაველის და მემედ აბაშიძის სახელობის პრემიები მიენიჭა. 1998 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. ამ წელს თურქეთის ქალაქ ანტალიაში საოპერო ხელოვნების ფესტივალი ბათუმის საოპერო თეატრმა დახურა.

ამაყობდა ეროვნული საქმის გამკეთებელი კაცი, საამაყოც ჰქონდა. ალეკო ხშირად იმეორებდა: **„ბათუმის ოპერის თეატრი შვილია ჩემი, თბილისისა კი — დედა, რომელმაც გამზარდაო“**. ღვაწლმოსილ ხელოვანს მის სათაყვანებელ და საფიცარ ბათუმში ვარსკვლავიც გაუხსნეს, საპატიო ბათუმელის წოდებაც მიანიჭეს, თუმცა გულიც ხშირად ატკინეს. ვიღაცის შურიანი ხელი ალეკო ხომერიკსაც მისწვდა... მიმაჩნია, რომ იგი ნაადრევად წავიდა სცენიდან. მიუხედავად ამისა, მირჩევნია — ბრწყინავდე და კაშკაშებდე ცოტა ხანს, ვიდრე დიდ ხანს და მოსაწყენად.

* * *

„... საოცრება ვნახე, დღეს ალეკოს სახით შეუდარებელი აბესალომი ვიხილე“, წერდა **ᲜᲘᲜᲝ ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ**.

„ალეკო ხომერიკი მსოფლიოში გამორჩეულ მამულიშვილთა შორის ფენომენალური ხმის ტენორი და ტიტანური ენერგიის მქონე არტისტი-მომღერალია. ამავე დროს, ის გახლავთ ფრიად წარჩინებული საზოგადოებრივი მოღვაწე“, — ამბობდა **ᲜᲝᲓᲐᲠ ᲐᲜᲓᲦᲣᲚᲐᲫᲔ**.

„... ჩემო ალეკო, დიდო მომღერალო, ვაჟკაცო, მოღვაწევ, შენ ბევრი რამ გაკეთე ქართული საოპერო მუსიკის განვითარებისათვის ...“ — აღტაცებით წერდა **ᲒᲘᲒᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ**.

„ალეკო ხომერიკის ძლიერი, ლამაზი, დრამატული ტენორი მსოფლიოს ყველა სახელგანთქმულ საოპერო სცენას დაამშვენებდა...“ ეს **ᲪᲘᲡᲐᲜᲐ ᲤᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲐ**.

„...ალეკო ხომერიკისთვის არაერთხელ მომისმენია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მოწმე ვარ იმ დიდი ოვაციებისა, რომელსაც ფეხზე დამდგარი საზოგადოება უმართავდა გამოჩენილ ტენორს...“ წერდა **ᲐᲜᲖᲝᲠ ᲔᲠᲫᲝᲛᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ**.

„ხშირად მინახავს, აღფრთოვანებული მაყურებელი სიხარულის ცრემლებით და დიდი ოვაციებით როგორ ხვდებოდა და აცილებდა ამ გამორჩეულ ხელოვანს“. — ᲚᲐᲓᲝ ᲐᲗᲐᲜᲔᲚᲘ.

„დაე, ყოველ ჭეშმარიტ ქართველს უხაროდეს და ეამაყებოდეს, რომ მის სალოცავ სამშობლოს — საქართველოს ჰყავს ეგზომ მაღალღირებული შვილი, სრულქმნილი პიროვნება, მომღერალ-მგალობელი ალეკო ხომერიკი.“ — ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ.

„ეს იყო იშვიათი, გენიალური ხმა, ათეული წლის მანძილზე ევროპასა და ამერიკაში გამოვდივარ, ასეთი ხმის მომღერალი მე ჯერ არ შემხვედრია...“ — ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ.

ჩვენი ცხოვრება ხომ მოულოდნელობებითაა სავსე, მართლაც თავზარდამცემი იყო ალეკო ხომერიკის ამქვეყნიდან უდროოდ წასვლა გასული წლის დეკემბრის ბოლოს. წავიდა და თან გაიყოლა უამრავი ადამიანის და გულშემატკივრის მწუხარება და ცრემლი, თუმცა იმედად უზარმაზარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მის მეუღლეს, ქალბატონ მარინას, შვილებს ქეთინოს და ლილის, მისი სულის მომფერებელ შვილიშვილებს ირაკლი ჩოდრიშვილს და ელენე მამასახლისს მინდა ღრმა მწუხარება გამოვუცხადო და მივმართო, რომ დიდი მამულიშვილის ალეკოს გამორჩეული სახელი მათ და მათ შთამომავლებს საამაყოდ და ცხოვრების საგზლად გაჰყვებათ. მის სახელს დავიწყება არ უწერია... 5 თებერვალს 40 დღე სრულდება მისი გარდაცვალებიდან... ალეკო ხომერიკის მართალი სული მარადიულ ცათა სასუფეველს შეუერთდება...

ᲒᲔᲚᲐ ᲯᲝᲯᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი ქართული კულტურის ამაგდარი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.
ᲢᲔᲚ. 551491997



გევეინის რომანი - ახალ საფეხურად ჟანრისა

გულს დაგვაკლდებოდა პაატა ჩხეიძესა და მე, რომ ძველი ინგლისური ეპოსის „სერ გევეინი და მწვანე რაინდი“ ქართულ თარგმანს (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018) ვერ დავურთავდით მეცნიერულ ნარკვევს, თუმცა მხოლოდ ტექსტის ანაბარაც არ დავტოვებდით მკითხველს და წავუმძღვარებდით ჯესი ვესტონის წინათქმას, პროზაული ვერსიის პირველ გამოცემას რომ დაურთავდა, ბოლოში კი მივადევნებდით კვლავ ჯესი ვესტონის ვრცელი ნარკვევიდან ამოღებულ მეცხრე თავს. ჩვენი ნარკვევის მომზადებას კი ეპოსის ხელმეორე გამოცემისათვის გადავდებდით.



ისე მოხდებოდა, რომ:

ძალიან გაგვიადვილებდა საქმეს მაკა ელბაქიძე, რომლის გამოკვლევაც „სერ გევეინი და მწვანე რაინდი“ გამოქვეყნდებოდა „ლიტერატურული ძიებანის“ XL ნომერში (2019-20) და შეიქმნებოდა დასავლური ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე დონისა და მონაცემების გათვალისწინებით.

უპირველესად კი იმ გარემოებას აღნიშნავდა მკვლევარი, რომ:

დღესდღეობით ეს თხზულება – მიუხედავად ლექსითი ფორმისა – სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება რაინდულ რომანად და არა პოემად.

მისი მხატვრული ღირსება კი შეფასებულია:

როგორც მარგალიტისა.

რა განსაზღვრავს ამ რომანის უმთავრეს მხატვრულ-იდეურ ღირსებას და:

ერთგულება, რაც გულისხმობს იმ ფასეულობათა უცილობელ დაცვას, რომლებზეც დამყარებულიყო შუასაუკუნეთა ფეოდალური საზოგადოების მორალურ-ეთიკური სისტემა.

მკვლევარი მოიშველიებდა თვალსაზრისს, რომ:

ყველა რაინდული რომანის ცენტრში დგას მორალური ჰარმონიის მაძიებელი ახალგაზრდა გმირი.

და თავის მხრივ დასძენდა:

შესაბამისად გევეინის რომანშიც, ჟანრული თავისებურებიდან გამომდინარე, პროტაგონისტი დგება გარკვეული მორალური დილემის წინაშე, რომლის გადალახვითაც ხორციელდება მისი პიროვნული ღირსების სრულყოფაო.

გამოკვლევა დაიწყებოდა რომანის – 1400 წლამდე რომ უნდა მოთავებულიყო – სიუჟეტის დეტალური გადმოცემით.

მერე უცნობი ავტორის პორტრეტის ზოგიერთ შტრიხს მიაწვდიდა მკითხველს, რიჩარდ მეორის ზეობის ხანაში მცხოვრებისა და ლათინური ბიბლიისა და ჰომილეტიკური მწერლობის კარგად მცოდნისა, დაბალი რანგის სასულიერო პირს რომ წარმოადგენდა, თუმცა... შესაძლოა, საერო პირიც ყოფილიყო, ვინაიდან საშუალო ფენის წარმომადგენლისათვის განათლება გახლდათ გზა არა მარტო ეკლესიის წიაღში შესაღწევად, არამედ ადმინისტრაციული ან დიპლომატიური თანამდებობის მისაღებადაც.

კარგად უნდა სცნობოდა ფრანგული კურტუაზიული ლიტერატურა, ასევე ალეგორიული პოემა „რომანი ვარდზე“.

რაკიღა შუასაუკუნეების პოეზია არ გამოხატავდა ავტორის პიროვნულ მეს და იქმნებოდა საზოგადოების გარკვეული პრივილეგირებული ჯგუფის გემოვნების შესატყვისად, საფიქრებელი ხდებოდა, რომ:

გევეინის რომანი დაწერილიყო წვივსაკრავის ორდენის რაინდთათვის. ამას მოწმობდა რაინდული ინსტიტუტისათვის ნიშანდობლივი პრინციპები, რომლებსაც ედუარდ მესამე 1348 წელს დაუკანონებდა – ორდენის შექმნისას.

ცალკე ქვეთავად გამოიყოფოდა თხზულების კომპოზიცია, ამ მხრივ „სერ გევეინი და მწვანე რაინდი“ რომ არ განსხვავდებოდა სხვა რაინდულ რომანთაგან და ისიც წრიულ კომპოზიციაზე აგებულიყო, რაც გულისხმობს თხზულების დასაწყისის და საბოლოო წერტილთა თანხვედრას:

მოქმედება იწყებოდა მეფე არტურის კარზე ნადიმით და მთავრდებოდა გმირის დაბრუნებით კამელოტში.

თუმცა რომანს არ გააჩნდა ჟანრისათვის ნიშანდობლივი ორსაფეხუროვანი სინტაგმატური სტრუქტურა, ვინაიდან მასში არ გვხვდებოდა კოლიზიური უთანხმოება სიყვარულსა და რაინდობას შორის.

შესაბამისად – თხზულება არ იყოფოდა არც „მცირე“ და „დიდ“ რომანებად.

მისი სიუჟეტი, ტრადიციისამებრ აგებული დაკარგვა-ძიება-პოვნის მოტივზე, ეგრეთ წოდებული სარკისებრი სიმეტრიის პრინციპს იცავდა და ლინეარულად ვითარდებოდა ერთი ცენტრალური კონფლიქტის გარშემო:

მწვანე რაინდის უეცარი გამოჩენა და მისი უცნაური გამოწვევა.

მკვლევარი გაიზიარებდა იმ შეხედულებას ჰელენ კუპერისა, რომ:

სიმეტრიის ცენტრად წარმოდგებოდა ეგრეთ წოდებული ცთუნების ეპიზოდები, რადგანაც ინტრიგა, რომლის წინაშეც მოულოდნელად აღმოჩნდებოდა მკითხველი ამ სცენების კითხვისას, მთლიანად გადაფარავდა რომანის ძირითად კონფლიქტს – მწვანე რაინდის ამბავს.

ადრეული ხანის რომანებიდან მოყოლებული მათ რენესანსულ ვერსიებამდე გადახვევები ძირითადი სიუჟეტური ხაზიდან ხანდახან უფრო მნიშვნელოვნადაც მიიჩნეოდა, ვიდრე თხრობის მთავარი დინება, შენაკადური ამბები უფრო საგულისხმოდ მოჩანდა, ვიდრე ძირითადი სიუჟეტური ხაზი.

ამ თვალსაზრისით „სერ გევეინი და მწვანე რაინდი“ მკვეთრად განსხვავებული რომანი გახლდათ.

ის იწყებოდა არტურის ციკლის ბევრი ნიმუშის მსგავსად:

ნადიმის შეწყვეტით უცნობის გამოჩენის გამო, რასაც თავგადასავლამდე (ძიებამდე) მივყავდით.

მეფე არტურის ჩვეულება – ლხინზე უარის თქმა, ვიდრე საგულისხმო ამბავს არ მოუთხრობდნენ, ანდა რაიმე უცნაური არ მოხდებოდა – ერთგვარად გამოჰკვეთდა პერსონაჟისა და ავტორის „უსიტყვო შეთანხმებას“ რომანის აგებისას.

შესაძლოა გეფიქრა, რომ:

არტური და მისი რაინდები ზოგ სცენაში ისე იქცეოდნენ, თითქოს იცოდნენ, რომანის პერსონაჟები რომ იყვნენ.

მკვლევარი ყურადღებას მიგვაქცევინებს, რომ:

გევეინის მოგზაურობა ლოგრის – ასე უწოდებდნენ იმჟამად ინგლისს – მიწაზე უდავოდ მახლობელი უნდა ყოფილიყო პოეტის თანადროული მკითხველისათვის, ვინაიდან ეს გახლდათ გზა, რომელსაც რიჩარდ მეორე გაივლიდა ირლანდიის ექსპედიციისას, თუმცა ეპიკოსის ხელში ის საკმაოდ უცნაურ ელფერს შეიძენდა, რაც მოწმობდა, რომ:

ამ შემთხვევაში ავტორის ხედვა უფრო ინდივიდუალური იყო, ვიდრე ტრადიციით განპირობებული. რომანი დაწვრილებით აღწერდა ველურ ბუნებას, დასახლებულს გარეული ცხოველებით, გოლიათებითა და იმ ნახევრადფანტასტიკური არსებებით, რომელნიც ჩასაფრებულნი ელიან თავიანთ მსხვერპლს.

როდესაც ხეტიალით გატანჯული რაინდი ქალაქს ანუ ციხესიმაგრეს მიადგებოდა, პეიზაჟი მეყვსეულად იცვლებოდა – აღარც გარემომცველი სივრცე და აღარც ბუნების ძალები არ გახლდნენ სასტიკნი და მტრულად განწყობილნი.

და აქ ჩაერთვოდა ედ პუტერის საგულისხმო დაკვირვება, რომლის მიხედვითაც:

შუასაუკუნეების თხრობის მნიშვნელოვან სიახლედ წარმოდგებოდა ის გარემოება, რომ ეს „ახალი“ პეიზაჟი დანახულიყო რაინდის ანუ პერსონაჟის თვალთახედვით, სადაც სიახლე გამოიხატებოდა არა მხოლოდ იმ ზმნებით, რომელნიც ჭვრეტის აქტს აღწერდნენ, არამედ იმ დეტალებითაც, მკითხველის გონება ადვილად რომ ხვდებოდა.

ცალკე ქვეთავი დაეთმობოდა რომანის წყაროებსა და პერსონაჟებს.

რადგანაც შუასაუკუნეთა ინგლისური რომანების უმრავლესობა გადმოღებულიყო ფრანგული ან ანგლო-ნორმანული ენებიდან, გევეინის რომანის სიუჟეტურ მოტივთა უმრავლესობის წყაროც – რა გასაკვირია – არტურის ციკლის ფრანგული რომანები რომ გახლდათ.

თუმცა გვხვდებოდა რამდენიმე მოტივი, რომელთა წყაროს დაძებნაც შეუძლებელი გამხდარიყო. მაგალითად: რაინდი, რომელიც არა მარტო მწვანე სამოსს ატარებდა, არამედ კანიც და თმაც მწვანე ექნებოდა.

სამაგიეროდ მოწინააღმდეგისათვის თავის მოჭრის მოტივი, რასაც საპასუხო დარტყმა მოსდევდა, არაერთ ტექსტში გხვდებოდა და ფესვები ირლანდიურ ლეგენდებში გაედგა.

ყველაზე ცნობილ ვერსიად – რომელსაც უთუოდ იცნობდა გევეინის ავტორი – დასახელდებოდა კრეტიენ დე ტრუას „პერსევალის ანუ გრაალის რაინდის“ პირველ გაგრძელებაში ჩართული „კარდოგის ცხოვრება“ უცნობი ავტორისა.

სერ გევეინი პირველად უნდა გამოჩენილიყო ჟოფრეი მონმოუტელის „ბრიტანეთის მეფეთა ისტორიაში“, რომელშიც წარმოდგებოდა მეფე არტურის დისწულად, თანამებრძოლად და უშიშარ რაინდად. გვხვდებოდა ვეისის რომანშიც ბრუტუსზე, როგორც ერთგვარი სიმბოლო რაინდობისა. თუმცა განსაკუთრებული პოპულარობა უნდა მოეპოვებინა კრეტიენ დე ტრუას რომანების წყალობით, თუმცა ხუთი-ვე ნიმუში მეორეხარისხოვან პერსონაჟად გვევლინებოდა. მაინც აქ მიენიჭებოდა გევეინს მთავარი გმირის მოწინააღმდეგის დანიშნულება, ვინაიდან მასთან ორთაბრძოლისას უნდა გამოვლენილიყო რომანის პროტაგონისტის უპირატესობა. „გრაალის რაინდში“ იგი წარმოდგებოდა საერო რაინდობის სახედ, საპირისპიროდ პერსევალისა – რაინდის რელიგიზირებული მოდელის განსხეულებისა.

აქედან მოყოლებული ერთგული და თავდადებული პიროვნების სახელთან ერთად სერ გევეინს უნდა შეეთავსებინა ქალთა გულთამპყრობლის ფუნქციაც, და რაკიღა გევეინის რომანის შემოქმედი კარგად იცნობდა როგორც ინგლისურ, ისე ფრანგულ ტრადიციას, ამიტომაც ცთუნების სცენებში დინამიკურად, თუმცა ამასთან ოდნავ კომიკურადაც წარმოიდგენდა ოპოზიციას: ერთი მხრივ – გულადი, უშიშარი მეომარი, და მეორე მხრივ – სოციალურ ურთიერთობებში გაწაფული პიროვნება.

ხოლო თუ რისი სიმბოლოა მწვანე რაინდი, ორი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება გაჩნდებოდა:

ერთი მხრივ – სიკვდილისა, ძველი კელტური და ირლანდიური ბალადებისა არ იყოს.

მეორე მხრივ კი – სიცოცხლისა, რადგანაც მთელი რომანი თავისი წყაროებითა და ფესვებით წარმართულ წარმოდგენებს უკავშირდება.

მაკა ელბაქიძის დაკვირვებით:

რისი სიმბოლოც უნდა იყოს მწვანე რაინდი, თხზულების ბოლოს იგი ერთგვარ მორალისტად გვევლინება, როდესაც შეკრებილი საზოგადოების წინაშე ამხელს სერ გევეინს, როგორც დამრღვევს რაინდული ეთიკის ნორმისა – რაკიღა დამალა მასპინძლის ცოლის მიერ მისთვის სარტყლის ჩუქების ფაქტი, თუმცა კი ამ სარტყელს რომანის ძირითადი კონფლიქტის გადაჭრაში არავითარი როლი არ განეკუთვნება. და გევეინს თან მიაქვს ეს სარტყელი უფრო იმედის, ვიდრე რწმენის გამო. საერთოდ კი იგი ხორცის გადარჩენაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე სულისა, და მის ამ სწრაფვას ავტორი სრულებითაც არ იწუნებს.

და თხრობის „თავაზიანად დამცინავი“ ტონი, განსაკუთრებით კი ცთუნების სცენები, მკვლევარს აფიქრებინებდა, რომ:

გევეინის რომანი ჟანრის სატირა უფრო გახლდათ, ვიდრე ჟანრის ჭეშმარიტი ნიმუში.

და ამ ვარაუდს გაუმყარებდა ის მოსაზრება, რომ არტურის ციკლის რომანებში რაინდები უმთავრესად ბრძოლის ველზე გამოიცდებოდნენ და არა საწოლში. თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ სერ გევეინი ცთუნების ეპიზოდებში იცავდა კურტუაზიული საყვარულო კოდექსის ყველა მუხლს.

ჟანრი მოითხოვდა მკითხველისაგან, ერწმუნა ადამიანის სრულყოფილება, ბოროტების უარსობა და სიკეთის ყოვლისშემძლეობა. და გევეინის რომანის შემოქმედიც ჟანრის თავისებურების შესაფერისად რომ აგებდა თავის თხზულებას, არტურის ციკლის რომანებიდან იღებდა საჭირო მასალას – ხეტიალი იქნებოდა, ძიება, ზებუნებრივი თვისებების მოწინააღმდეგესთან შერკინება თუ სხვა – და მათგან ქმნიდა ნაყოფს, რომელიც განახლებული კონსტრუქციით, დახვეწილი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებითა თუ თხრობის პლასტიკურობით ჟანრის სრულიად ახალ საფეხურად წარმოდგებოდა.

მაკა ელბაქიძის მრავალმხრივი საგულისხმო გამოკვლევა სანდო მეგზურია „სერ გევეინისა და მწვანე რაინდის“ აშკარა თუ შეფარულ შრეებში შესაღწევად, ეს ჩანაწერი კი მეგზურად წაადგება მარადიული ღირებულებების დამფასებელ მკითხველს ამ მეცნიერული ნაშრომისაკენ.

როსტომ ჩხეიძე

ტ. 577 434340

„საბას“ ლიტერატურული კონკურსი

წელს „საბამ“ ლიტერატურული კონკურსი მეცხრამეტედ გამოაცხადა. ავტორებსა და გამომცემლებს უკვე შეუძლიათ წიგნები წარადგინონ კონკურსზე. ამისათვის მათ უნდა შეავსონ ელექტრონული განაცხადი ვებგვერდზე saba.com.ge.

განაცხადების მიღება 23 თებერვლამდეა, რის შემდეგაც „საბას“ ჟიურის წევრები წიგნების განხილვას შეუდგებიან და გასული წლის ლიტერატურულ მოსავალს შეაფასებენ.

2021 წელს საუკეთესო წიგნებსა და ავტორებს ჟიური 9 ნომინაციაში გამოავლენს:

საუკეთესო რომანი; საუკეთესო პოეტური კრებული; საუკეთესო პროზაული კრებული; საუკეთესო პიესა; საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი; საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა; საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა; უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანი; ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი.

მარტში საკონკურსო წიგნების სია გამოქვეყნდება. ასევე, კონკურსის მსვლელობის პარალელურად, ამ წიგნების ელექტრონული ვერსიებიც განთავსდება SABA Reader-შიდა მკითხველებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ მათ.

ლიტერატურული კონკურსი „საბა“ „თიბისიმ“ და პოეტმა რატი ამაღლობელმა 2002 წელს დააფუძნეს. ამ დრომდე „საბამ“ 170 პრემია გასცა და 139 ავტორი დააჯილდოვა.

2021 წელს კონკურსის ფინალისტების ვინაობა ივლისში გახდება ცნობილი, ხოლო შემოდგომაზე დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართება.

◎ ისევ ყრილობაო!!!

ეს ხომ ნანახი გვაქვს...

რომ გვეგონა, მოსახდენი, ბოლოსდაბოლოს, მაინც მოხდა და, როგორც იქნა, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტად ირაკლი აბუსერიძის არჩევა გვეღირსაო, თურმე, მწარედ ვცდებოდით.

საჯარო რეესტრში პროცედურების დარღვევის საბაბით ერთი-ერთი კანდიდატის – ბაჩო ხურციძის მიერ შეტანილი საპროტესტო განცხადების შემდეგ სრკ-ის გამგეობამ 24 თებერვალს ახალი საარჩევნო ყრილობა მოიწვია (მესამე პრეტენდენტი – გოჩა სვანიძე) შემდეგი შინაარსის ტექსტით:

ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის მოწვევით 2021 წლის 24 თებერვალს, 13 საათზე, ავჭალის რაგბის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში, მისამართზე: თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. 27, გაიმართება საქართველოს რაგბის კავშირის 2021 წლის მორიგი საერთო კრება (ყრილობა) შემდეგი დღის წესრიგით:

1. სრკ-ის გამგეობის ანგარიში;

2. სრკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატთა საერთო კრებისათვის წარდგენა, კანდიდატთა გამოსვლები;

3. სრკ-ის პრეზიდენტის არჩევა;

4. სრკ-ის არჩეული პრეზიდენტის მიერ სრკ-ის გამგეობის წევრთა კანდიდატურების წარდგენა;

5. სრკ-ის გამგეობის არჩევა;

6. სრკ-ის პრეზიდენტის მიერ სრკ-ის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა;

7. სრკ-ის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

8. სხვა საკითხები.

თანდართული დოკუმენტები საერთო კრების შესახებ:

1. 2021 წლის 31 იანვრის გამგეობის სხდომის ოქმი;

2. გამგეობის განმარტება რაგბის კავშირის 2021 წლის მორიგი საერთო კრების (ყრილობის) მოწვევის შესახებ;

3. 2021 წლის ნამდვილ წევრთა სია;

4. საერთო კრების რეგლამენტი;

5. არჩევნებში კენჭისყრისას ხმის მიცემის პროცედურა;

6. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის პროცედურა;

7. თანხმობა სრკ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევის შესახებ;

როგორც შევიტყვეთ, საჯარო რეესტრი საბოლოო ვერდიქტს დღეს მიიღებს.

კობა კობახიძე

◎ უშანსოდ

როცა ძალა აღმართს ხნავს

ევროპის ფუტსალის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრის გამართვისთანავე ჩვენი ჯგუფის უმთავრეს ფავორიტად უკანასკნელი მუნდიალის ფინალისტი რუსეთი დასახელდა, რასაც შესარჩევი ტურნირის სტარტზე განვითარებული მოვლენებიც ადასტურებს.

პირველ შეხვედრაში სომხეთის გუნდთან გასეირნების – 6:0 შემდეგ ჩრდილოელებმა თბილისის ალექსანდრე ანპილოგოვის სახელობის ოლიმპიური სასახლის უმაყურებლო დარბაზშიც უპრობლემოდ გაიმარჯვეს ავთანდილ ასათიანის გაწვრთნილ „ჯვაროსნებთან“ 4:0 (2 ბურთი ნიაზოვმა გაგვიტანა) და მორიგი რაუნდის ერთ-ერთი საგზურის მოპოვებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს, მეორე ლიცენზიის მფლობელს კი კვარტეტის დანარჩენ წევრთა შორის დარჩენილი პრინციპული ბრძოლები გაარკვევს.

მათგან უახლოესი საქართველოს ნაკრებს 5 მარტს ისევ შინ უწევს სომხეთთან, ხოლო სანუკვარი მეორე ადგილის დასაკავებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა, ეტყობა, საფრანგეთთან საკუთარ სარბიელზე დანიშნული მატჩის შედეგს მიენიჭება, ვისთანაც სადებიუტო ჯახი სტუმრად ფრედ დავასრულეთ – 4:4.

მართალია, „დათვებთან“ საიოტი და თოდუა გვაკლდა, მაგრამ მასპინძელთა თავკაცისთვის ამას ხელი არ შეუშლია ეღიარებინა, რომ მეტოქე გაცილებით მაღალი დონის ანსამბლია და მასთან შანსი არ გვქონდა.

გიორგი შოთაძე

გამოცდის წინ

სასწორზეა ლიცენზია

გერმანიაში მოწყობილი 5-დღიანი შეკრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა ახალი სერბი თავკაცის – დეიან სტანოიევიჩის გაწვრთნილი საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები, რომელსაც 14-21 თებერვალს როტერდამში ვაჟთა ოლიმპიურ საკვალიფიკაციო ტურნირში ტოკიოს საგზურისთვის მოუწევს ბრძოლა – სულ ჰოლანდიაში სამი ლიცენზია გათამაშდება.

„ჯვაროსნებმა“ მასპინძლებთან სპარინგებიც გამართეს, რომელთაგანაც ორი წააგეს და ერთი ფრედ დაასრულეს, ნიდერლანდე:ბში გამგზავრებამდე კი ვარჯიშს თბილისში განაგრძობენ.

ამასობაში სპორტის საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციამ მომავალი ასპარეზობის კალენდარი გამოაქვეყნა. გაეცანით **„ა“ ჯგუფის** თამაშების განრიგს:

14 თებერვალი. საქართველო – საბერძნეთი, კანადა – ბრაზილია, თურქეთი – მონტენეგრო.

15 თებერვალი. საქართველო – თურქეთი, მონტენეგრო – კანადა, საბერძნეთი – ბრაზილია.

16 თებერვალი. საქართველო – კანადა, თურქეთი – საბერძნეთი, ბრაზილია – მონტენეგრო.

17 თებერვალი. საქართველო – ბრაზილია, საბერძნეთი – მონტენეგრო, თურქეთი – კანადა.

18 თებერვალი. საქართველო – მონტენეგრო, კანადა – საბერძნეთი, ბრაზილია – თურქეთი.

19 თებერვალი – მეოთხედფინალები.

20 თებერვალი – ნახევარფინალები.

21 თებერვალი – ფინალები.

დავძენთ, რომ აზიური ფორუმის მონაწილენი ოფიციალური შეჯიბრებების შედეგებისა და რეგიონული კვოტების გათვალისწინებით უკვე გახდნენ სერბეთი, იტალია, ესპანეთი, აშშ, უნგრეთი, ყაზახეთი, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა და თამაშების ორგანიზატორი ქვეყნის – იაპონიის გუნდი.

ახლა კი იმ საკითხის შესახებ, რომელიც საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი თავკაცის რევაზ ჩომახიძის მიერ პოსტებიდან მოულოდნელ გადადგომას უკავშირდება.

ახალ საქმეს ვიწყებო – პასუხობდა სახელგანთქმული წყალბურთელი დაინტერესებულ პირებს, მაგრამ კარტებს ბოლომდე არ ხსნიდა და ინტრიგას ინარჩუნებდა.

და აი, ყველაფერი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რებრენდინგისადმი მიძღვნილ პრეზენტაციაზე გაცხადდა, სადაც მეცოცხეთა პარტიის ახალმა თავმჯდომარემ, ასევე ყოფილმა წყალბურთელმა ნიკანორ მელიამ საზოგადოებას 12 დებიუტანტი წარუდგინა და, ჰოი საოცრებავ, მათ შორის ერთ-ერთში სწორედ მისი ბავშვობისა და აუზის მეგობარი ამოვიცანით.

ავტორიტეტს რომ მოფრთხილება უნდა, წყალში გადატანილ ბრძოლებში გამობრძმედილ ჩინებულ სპორტსმენს არ უნდა ესწავლებოდეს, მით უმეტეს, როცა სახეზე გიორგი ასანიძისა და ზაზა კედელაშვილის მაგალითები აქვს.

და კიდევ, როცა პოლიტიკურ ოპონენტებს ამუნათებ, სპორტსმენებს პოლიტიკაში რა ესაქმებათო, შენ რატომღა დგამ მსგავს ნაბიჯს?

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ხელგურთი

ვიკინგურ მოტივებზე

ბევრისათვის ნაკლებად სავარაუდო სკანდინავიური ფინალით დაგვირგვინდა ეგვიპტეში გამართული ვაჟ ხელბურთელთა 27-ე მსოფლიო ჩემპიონატი.

უმძაფრეს პრინციპულ ბრძოლაში იაკობსენის გაწვრთნილმა დანიელებმა 26:24 სძლიეს მეზობელ შვედებს და ტიტული შეინარჩუნეს. მათმა ლიდერმა ჰანსენმა 7 ბურთი გაიტანა, თუმცა, არანაკლებ გაიბრწყინა მეკარე ლანდინმა, რომლის ფანტასტიკურმა თამაშმაც მეტოქე, უბრალოდ, ფსიქოლოგიურად გატეხა.

აღსანიშნავია, რომ მანამდე ტრიუმფატორებმა პენალტების სერიაში ზღაპრულ პლეი-ოფში გამოგლიჯეს ხელიდან გამარჯვება მასპინძლებს და სძლიეს ესპანელებს, ხოლო „ტრე კრუნურმა“ გადამწყვეტი შეხვედრის მიღმა დატოვა ტურნირის უმთავრესი ფავორიტი – საფრანგეთი, რომელმაც საბოლოოდ „ბრინჯაოც“ დაუთმო პირენეელებს.

დავძენთ, რომ „სამფეროვნები“ წოდებათა რაოდენობით ფორუმის რეკორდსმენებად რჩებიან, ხოლო მათი უახლოესი მდევრები არიან: შვედეთი (4), გერმანია, ესპანეთი, რუსეთი და უკვე – დანია (2-2 „ოქრო“).

ბეჟან დოლიძე

◎ ალბიონზე

მეკარე არ ჰყავდათ?

პრემიერლიგის მორიგ ტურში „მანჩესტერმა“ ინგლისის ჩემპიონატის რეკორდი გაიმეორა და 9:0 გაანადგურა მინდორზე 9 მოთამაშით დარჩენილი „საუთჰემპტონი“.

სხვათა შორის, ამავე გუნდს უკავშირდება ორი წლის წინათ „ლესტერის“ მიერ დაფიქსირებული მსგავსი მიღწევაც, ხოლო აღნიშნული თამასა უფრო ადრე „იფსვიჩთან“ მატჩში პირველად ასევე „წითელმა ეშმაკუნებმა“ გასდეს.

ვინ იქნება შემდეგი?

ბადრი იაშვილი

„ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲘᲗ“

ᲐᲕᲚᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲝ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘ�გᲘ ᲥᲕᲔᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘ �გᲐᲔᲛ�გᲖᲐᲕᲠᲐ.

მესამე ქვეითი ბრიგადის ნაკრები ასეულის პირადი შემადგენლობა კაპიტან შოთა გიორგაძის მეთაურობით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ირაკლი ჭიჭინაძემ, დასავლეთის სარდალმა, ბრიგადის გენერალმა კობა გრიგოლიამ, საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ატაშემ, ვიცე-პოლკოვნიკმა ლარს უკერვიცმა და ბრიგადის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა მიხეილ გოგნაძემ გააცილეს. მათ სამხედრო მოსამსახურეებს მისიის წარმატებით შესრულება და მშვიდობით დაბრუნება უსურვეს.

ქართველი მშვიდობისმყოფელები ნატოს ეგიდით მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის მისიას“ გერმანული სარდლობის დაქვემდებარებაში, მაზარ-ი-შარიფში, ბაზა „მარმალზე“ შეასრულებენ. ქვედანაყოფი როტაციის წესით აღმოსავლეთ სარდლობის ნაკრებ ასეულს ჩაანაცვლებს და 6 თვის განმავლობაში მისი პასუხისმგებლობა სწრაფი რეაგირების ამოცანების შესრულება იქნება.

მშვიდობისმყოფელებმა ხუთთვიანი გადასროლისწინა მომზადება გერმანიაში გაიარეს.

◎ ᲗᲘᲗᲘᲫᲛᲘᲡ ᲜᲐᲢᲣᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲜ...

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, დედამიწაზე კორონაპანდემიის მეტეორივით შემოვარდნამ ადამიანებს თავგზა ერთიანად აუბნია, მაგრამ არა მგონია, გაზეთ „ევროატლანტიკური განთიადის“ მკითხველს დავიწყებოდეს ამ გამოცემის ქუჩიკორის (ქუჩის კორესპონდენტის) — ვალერას ცინცხალი შემოქმედება და, რა თქმა უნდა, ამავე გაზეთის პოლიტიკური რედაქტორის, მთელი აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში სწორუპოვარ კალმოსნად აღიარებულ ბენიტოს პუბლიცისტიკა, რომელსაც უცხოეთის ქვეყნებში ხანგრძლივი წანწალის კვალობაზე ქვემო კიდურების შეშუპებ-შეხუთვა დასჩემდა. აი ახლაც სამუშაო ოთახის ზღურბლს ძლივს გადალაჯებულმა ბენიტომ ქუჩკორი თავისთან იხმო და დაუცაცხანა:



— ვალერა, მთელი დღეები რომ დაქანაობ, სად დაქანაობ? მთავარი რედაქტორი პირდაპირ გაოგნებულია შენი ფუქსავატობით.

— აბა, რას ამბობთ, ბატონო, — იუკადრისა ვალერამ, — სად უნდა დავქანაობდე, ხომ გაგიგიათ, კატის მანძილი და საბძლამდეო. ქუჩკორი ვარ და მთელ დღეებს ქუჩაში დავწანწალებ, ეგებ რაიმე საკბილოს გამოვკრა ხელი და მკითხველი გავახარო.

საკბილოს ხსენებაზე, ეტყობა, პოლიტიკურ რედაქტორს მუცელმა შეუღიტინა: კარგი, ჰო, — შეარბილა ტონი ბენიტომ, — ვიდრე გაზეთისთვის რამე საკბილოს მიაგნებდე, ღვინჯუას დუქანში შეირბინე და ჭაჭა და ცხელ-ცხელი ჩებურეკები მოარბენინე.

— კი მოვარბენინებდი, მაგრამ არ მომცემენ, — თავი გააქნია ვალერამ.

— რატომ, კაცო, მანდაც ვალებში ზიხარ, არა?

— ვალები რა შუაშია, ბატონო, ეგენი გატანის სერვისით არ ვაჭრობენ.

— აბა, როგო ვაჭრობენ, — ადუდღუნდა ბენიტო, — შიგნით რომ არ გვიშვებენ, ეგ არ კმაროდა,რომ ახლა კიდევ საჭმლის ჩვენი ხელით წაღებასაც გვიკრძალავენ?

— ადგილზე მიტანით? ოჰო, ეს უკვე კარგია, — ჭკუაში დაუჯდა ბენიტოს, — ეტყობა, იციან ჩემი დაკვანჭული ფეხების ამბავი და მიფრთხილდებიან.

ვალერას უნდოდა, ეთქვა, თქვენი ფეხები მაგათს სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათო, მაგრამ უფროსი კოლეგის იმიჯს გაუფრთხილდა, თანაც ვაჭრები უხერხულობიდან იხსნა:

— აბა რა ქნან, ჩემო ბატონო, კორონამ მაგათაც სიქა გააძრო და პროდუქტების ადგილზე მიტანითღა ინაზღაურებენ დანაკლისს.

— ჰო, ჰო, გაამართლე, კორონამ ისევ მე უნდა მყვლიფოს და მაგათ კიდე ფული აკეთებინოს, არა?

ამ ამბავმა ბენიტო ისე განარისხა, ლამის ვალერა შემოელახა, მაგრამ თავი შეიკავა და საუბარი საქმეზე გადაიტანა:

— კარგი ჰო, — დაუყვავა უმცროს კოლეგას, — ჯანდაბას მაგათი თავი და მაგათი ჩებურეკები, შენ მითხარი, ჯაფარიძის განაყარ გირჩელებთან რომ უნდა მისულიყავი, გაიგე რამე?

— ჰო, გავიგე.

— რაო, ბოლოს და ბოლოს, შედიან პარლამენტში თუ არ შედიან?

—ჰო, ძალიან გვინდა შესვლა, სხვებსაც მოვუწოდებთ, რომ შევიდნენ, მაგრამ ნიკა მელია ცემით დაგვემუქრა და გადავწყვიტეთ, თავის საშველად საცხოვრებლად მარსზე გადავიდეთო.

— გაგიჟდი, ტო, მერედა მარსზე რით აპირებენ გამგზავრებას?

— ვიღაც ამერიკელ მულტიმილიარდერს 200 ათასი კაცი გადაყავს ცათმფრენით მარსზე საცხოვრებლად და ესენიც თურმე იმათ მიყვებიან.

— მერე იქ პარლამენტი იქნება, რომ მელიასგან შეშინებულმა თავი შეაფარონ?

— პარლამენტი არა, მაგრამ სენატი და კონგრესი ნამდვილად იქნებაო.

— ჰო, მაგრამ, მაგათ სისულელეებს ხომ არ გადაყვებით, შენც ადექი და ხვალ საინტერესოდ გიგა ბოკერიას შეუარე, დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსია და რაიმე ჭკვიანურს იტყვის.

— ჰო, რა თქმა უნდა, მაღალფარდოვანი ფრაზებით გამაბრუებს და რის თქმას აპირებდა, მაინც ვერაფერს გავიგებ.

—შენც გიგადან რომ გამოხვალ, მერე მის ცოლს დაელაპარაკე, თამრიკო ხომ გიგას ნალაყბევს თუთიყუშივით იმეორებს.

— ვიცი, მაგრამ მაგასთან დალაპარაკებისა მეშინია.

— რა გაშინებს, კაცო, თავის ცოლის გიგა ბოკერიას არ ეშინია და შენ რა გაშინებს?

— რა ვიცი, ჩერგოლეიშვილს ლაპარაკისას შეშლილივით ხელების ქნევა უყვარს და შემთხვევით წვეტიანი ფეხსაცმელი შუბლისში რომ მთხლიშოს...

— შენ კი ხარ ღირსი თხლეშვისა, მაგრამ... ახლა მთავარ რედაქტორთან შევდივარ თათბირზე და დამელოდე, გამოვალ და ცალკე მოგელაპარაკები.

უკან მობრუნებულ ბენიტოს ოთახში ქუჩკორის ნაცვლად მისი ხელით დაწერილი ბარათი დახვდა. მეტის ატანა აღარ შემიძლია, გადავწყვიტე, ქუჩკორობაზე ხელი სამუდამოდ ავიღო და გირჩელებთან ერთად მარსზე გავემგზავროვო, იტყობინებოდა ვალერა.



ᲝᲢᲘᲐ ᲩᲐᲠᲗᲝᲚᲐᲜᲘ

„ᲧᲘᲜᲬᲕᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ“ ᲞᲝᲚᲘᲢᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐ�პᲔᲚᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ მᲐᲗᲘ მᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐ Ე.Წ. ᲧᲘᲜᲬᲕᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ 2011 ᲬᲔᲚᲡ �გᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ 12 ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ �გᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ.

სააპელაციო სასამართლოს ამ საქმის მონაწილე 12 პირის მიმართ განაჩენის გადასინჯვისა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანის მოთხოვნით 2018 წელს მიმართეს.

„საქმეში არსებული უხეში და თვალსაჩინო დარღვევების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების, გამოძიებაში არსებული ცხადი პოლიტიკური მოტივების გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრი იყო ინიციატორი, ე.წ. ყინწვისის საქმის მონაწილე პირებს მინიჭებოდათ პოლიტიკური პატიმრის სტატუსი, რაც 2013 წელს საქართველოს პარლამენტმა დააკმაყოფილა.

შემდეგ წლებში, ამ საქმეში მსჯავრდებულ პირთა მიმართ სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულები კიდევ უფრო თვალნათელი გახდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკოლოზ გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ“.

ამის მიუხედავად, საქართველოს პროკურატურა (სამწუხაროდ — სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის დეპარტამენტიც) ბოლომდე იცავდა 2012 წლამდე არსებითი დარღვევებით, დაკავებულთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად მიღებული ჩვენებებით ჩატარებული გამოძიების პოზიციას“, — ნათქვამია განცხადებაში.

ორგანიზაციის შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ყინწვისის საქმის მონაწილე 12 პირის სამართლებრივი რეაბილიტაციისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 2011 წლის 26 მაისს ყინწვისის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე 24-კაციანი დაჯგუფება შეიარაღებული ამბოხის მზადების ბრალდებით დააკავეს. უწყების ინფორმაციით, დაჯგუფებას შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და მხედრიონის ერთ-ერთი ლიდერი თემურ ხაჩიშვილი ხელმძღვანელობდა.

ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲘᲡ „ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ“ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠ ᲛᲔᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲘᲡ „ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲦᲕᲘᲜᲝᲡ“ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ �გᲐᲛᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ. ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ.

უწყების ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით დავით ზირაქაშვილი, გაიოზ ჯავახიშვილი, გელა სანიკიძე, ალექსანდრე ფურცხვანიძე და ზურაბ დათუკიშვილი ცნობილი იქნენ დამნაშავედ საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხული სხვა კულტურული მემკვიდრეობის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დადგენილი წესის დარღვევით გადატანის მომზადებაში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

„საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ახალი გამოძიების შედეგად მოპოვებული იქნა მსჯავრდებულების გამამართლებელი მტკიცებულებები.

წარდგენილი ბრალდების შესაბამისად, მათ ბრალი ედებოდათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის 500 000 აშშ დოლარად გასხვისების მიზნით, საზღვარგარეთ გატანის მომზადებაში.

აღსანიშნავია, რომ აბრას „კახური ღვინოს“ არასდროს ჰქონია მინიჭებული მსგავსი სტატუსი. შესაბამისად, მათ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობდა. გარდა აღნიშნულისა, იმჟამინდელი გამოძიების მიერ კატეგორიულად ვერ იქნა დადგენილი, ხსენებული ნამუშევარი ნამდვილად მიეკუთვნებოდა თუ არა ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შუამდგომლობით მიემართა თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის მსჯავრდებულების მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის შესახებ. სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი ახალი მტკიცებულებები და 2021 წლის 27 იანვარს ხუთივე მსჯავრდებულის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი. შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გავლის შემდგომ, ფერწერული ნამუშევარი „კახური ღვინო“ დაუბრუნდება კანონიერ მესაკუთრეს“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ᲡᲣᲞᲔᲠᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲡ ᲛᲫᲐᲠᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ

თბილისში, ჩიტაიას ქუჩაზე შეიარაღებულმა პირებმა სუპერმარკეტის დაყაჩაღება სცადეს. არსებული ინფორმაციით, ორი შეიარაღებული პირი სუპერმარკეტში შეიჭრა, თუმცა, ადგილზე მალევე მივიდნენ სამართალდამცველები და თავდამსხმელები დააკავეს.

„საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში შეტყობინება შემოვიდა, რომ ჩიტაიას ქუჩაზე, სუპერმარკეტ „სპარში“ შესული იყო ორი პირი. ისინი იყვნენ შეიარაღებული. შეტყობინების შესვლისთანავე, საპატრულო ეკიპაჟი მყისიერად მივიდა ადგილზე. გამოძიება ორი მუხლით დაიწყო — ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების მუხლებით. ადგილზე გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები“, — განაცხადა თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსმა ლაშა ჯოხაძემ.

დეა კულუმბეგაშვილის „დასაწყისი“ გამარჯვებულია!

დეა კულუმბეგაშვილის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმი „დასაწყისი“ ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია. იგი საუკეთესო ფილმის ჯილდოს მფლობელი გახდა.

დაჯილდოების ცერემონია ონლაინ მიმდინარეობდა და მას ტრიესტეს კინოფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელები — **ნიკოლეტა რომეო** და **ფაბრიციო გროზოლი** უძღვებოდნენ. ფესტივალის მთავარი ჯილდო საუკეთესო ფილმისთვის წარადგინა ჟიურის წევრმა **პაოლო ბერტოლინმა,** რის შემდეგაც დაჯილდოების ცერემონიას თბილისიდან ონლაინ შეუერთდა **დეა კულუმბეგაშვილი.**

„დასაწყისი“ დეა კულუმბეგაშვილის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ნამუშევარია. ფილმი 2020 წელს კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალურ სელექციაში შეირჩა. კორონავირუსის პანდემიის გამო კინოფესტივალი არ ჩატარდა ტრადიციული ფორმით, თუმცა „დასაწყისი“ მოგვიანებით კანში მაინც აჩვენეს ფესტივალის სპეციალური გამოშვების ფარგლებში.

„დასაწყისის“ ჩრდილოეთ ამერიკული პრემიერა შედგა ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც ფილმს გადაეცა კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციაციის (FIPRESCI) ჯილდო. ფილმის მსოფლიო პრემიერა კი გაიმართა სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე. სან-სებასტიანში ფილმი 4 ჯილდოს მფლობელი გახდა: ფესტივალის მთავარი პრიზი „ოქროს ნიჟარა“, საუკეთესო რეჟისორის ჯილდო (დეა კულუმბეგაშვილი), საუკეთესო მსახიობი ქალის ჯილდო (ია სუხიტაშვილი) და ჟიურის სპეციალური პრიზი საუკეთესო სცენარისთვის (დეა კულუმბეგაშვილი, რატი ონელი).

„დასაწყისი“ გადაღებულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში — ლაგოდეხსა და გარშემო სოფლებში.

„ჰოლივუდი“ თუ „წმინდა ძუძუ“?



ლოს ანჯელესის პოლიციის ცნობით, დააკავეს ექვსი ადამიანი მას შემდეგ, რაც ჰოლივუდის სიმბოლო „წმინდა ძუძუდ“ გადააკეთეს. ანუ — „HollyWood“ — „HollyBooB“.

დაკავებულები კი აცხადებენ, რომ მათ მიერ ჩადენილი აქტით სურთ, სოლიდარობა გამოუცხადონ ძუძუს კიბოთი დაავადებულ ქალებს.

პოლიციის ცნობით, ხუთმა მამაკაცმა და ერთმა ქალმა ლათინურ ასო W—ს გიგანტური პოლიეთილენის ლათინური B გადააკრეს, D-ს კი ტირე დაუმატეს.

ეს ფაქტი რამდენიმე საათის წინ მოხდა და ჯერჯერობით დეტალები უცნობია.

რობოტმა სახლის დალაგება „ისწავლა“.

კომპანია Boston Dynamics-ის **მიერ შექმნილმა რობოტმა ძაღლმა სახლის დალაგება ისწავლა. ვიდეო ცოტა ხნის წინ კომპანიის** Youtube **არხზე დაიდო.**



რობოძაღლი იატაკზე მიმოფანტულ ნივთებს აგროვებს, რთავს შუქს, აღებს კარს, ასუფთავებს ეზოს და ბაღში მცენარეებსაც კი რგავს. რობოტი სახტუნაოზე ხტუნვას და ასფალტზე ცარცით ხატვასაც ახერხებს.

ანჯელინა ჯოლი ჩერჩილის ნახატს ყიდის

ჰოლივუდის ლამაზმანი ანჯელინა ჯოლი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის დიდი თაყვანისმცემელია. მიუხედავად ამისა, მსახიობმა მაინც გადაწყვიტა ჩერჩილის ფერწერული ტილოს გაყიდვა და მას სულ მალე „Cristie's“ აუქციონზე გაიტანენ.

ნახატს სახელად „კუტუბაის მეჩეთის კოშკურა“ თავისი განსაკუთრებული ისტორია აქვს. ეს ერთადერთი ტილოა, რომელიც ჩერჩილმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შექმნა.

1943 წელს პრემიერი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტს კასაბლანკაში, რის შემდეგაც ჩერჩილმა რუზველტი მარაკეშაში დაპატიჟა, რათა ერთად ენახათ ულამაზესი მოვლენა — მზის ჩასვლა. სწორედ ამის შემდეგ შეიქმნა ეს ფერწერული ტილო.

რუზველტის გარდაცვალების შემდეგ ნახატს სხვადასხვა მფლობელი ჰყავდა.

აუქციონის მესვეურები ვარაუდობენ, რომ ნახატი, სულ მცირე, 3.5 მილიონ დოლარად იქნება გაყიდული. აღსანიშნავია ისიც, რონ ჩერჩილის ნახატებში ჯერ ასეთი თანხა არავის გადაუხდია.

ნიდერლანდელი დედები დონორ მამაკაცს უჩივიან

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღეს მსოფლიოში ათასობით მარტოხელა ქალი მიმართავს ხელოვნურ განაყოფიერებას.

როგორც აღმოჩნდა ნიდერლანდებში მცხოვრებმა 50-მა ქალმა გაარკვია, რომ მათ ხელოვნურად განაყოფიერებულ შვილებს შესაძლოა, სულ ცოტა, 300 დედ-მამიშვილი ჰყავდეთ ქვეყნის მასშტაბით. დედები აღშფოთებულები არიან, რომ მათმა დონორმა მამაკაცმა ასეთი უპასუხისმგებლო საქციელი ჩაიდინა.

ბავშვების მამა გვარად მაიერი, გარდა ოფიციალური კლინიკებისა, თურმე საკუთარ სპერმას ინტერნეტითაც ყიდდა. მანვე აღიარა, რომ თუ სწორად ახსოვს, მინიმუმ 300 ქალი გახდა მისგან დედა.

ყველა ქვეყანას, მათ შორის ნიდერლანდებსაც გარკვეული შეზღუდვები აქვს მამაკაცი დონორებისთვის. ამ შემთხვევამდე ერთ მამრს შეეძლო, 25 ქალისთვის მიეცა განაყოფიერების საშუალება, თუმცა ამ სკანდალის შემდეგ ეს რიცხვი 12-მდე ჩამოვიდა.

ყველაზე საშიში ამ ფაქტიდან ის გახლავთ, რომ ამ 300 დაძმას შესაძლოა თავისდაუნებურად ერთმანეთი შეუყვარდეთ, რაც აღმაშფოთებელი და მიუღებელია.

როგორც ჩანს მსოფლიოს კარგად მოუწევს დაფიქრება ამ საკითხზე და ხელოვნური განაყოფიერების კლინიკების მკაცრად გაკონტროლება, რადგან მომავალში ინცესტის მომსწრეები არ გავხდეთ.

სამწუხაროდ წინსვლა და პროგრესი ყოველთვის დადებით შედეგს არ გვაძლევს!..

მოამზადა რუსუდან ქობულიამ

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 8 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3072; ევრო - 3.9805;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.5226;
100 რუბლი - 4.3571; თურქული ლირა - 0.4620;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9438;
1000 სომხური დრამი - 6.3707.

ამინდი 4 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+16
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+17
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge